წელიწადი მეორე — ფასი 5 კაპ. — ოთხშაბათი, 20 იანვარი 1916 წ. — № 14

საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

განცხადებათა ფასი

ჩვეულებრივი—ცალკეულ პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10 კ., **კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი:** სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ღირება 40 კ. 4-ზე 20 კ., ტექსტში—60 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლ. გაბაშვილის შესახვევში, ა. კალანდაძის სტამბაში ღირება 4 მ.

დამატებიანი № ღირს ყველგან 7 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი

„საქართველო“

1916 წ. წელიწადი მეორე — 1916 წ. წელიწადი მეორე

უპრემიოდ ყოველ-კვირეულ სურათებიან დამატებით ღირს 8 მან. 50 კაპ. ფასის გადახდა შეიძლება სამ ვადაზედ: პირველ იანვრამდე 3 მან., პირველ მაისამდე 3 მან., პირველ ენკენისთვემდე 2 მან. 50 კაპ., თვიურად—80 კაპ.

პრემიით გაზეთი წლიურ ხელის მომწერთათვის ღირს 10 მან. ფასის გადახდა შეიძლება სამ ვადაზედ: 1 იანვრამდე 5 მ., 1 მაისამდე 3 მ., 1 ენკენისთვემდე 2 მ. ვინც 1 მარტამდე 9 მ. ერთბაშად შემოიტანს, გაზეთს ყველა პრემიით მიიღებს.

პრემიები:

1) **სალიტერატურო კრებული „მერანი“** გამოვა სამ თვეში ერთხელ. ყოველ კრებულში მოთავსებულ იქნება ჩვენი მწერლების რჩეული ორიგინალი ნაწარმოებნი ცნობილ ქართველ მხატვრების მიერ დასურათებული. 2) **საქართველოს ბიბლიოთეკა „ჩვენი მწყანი“** წიგნაკებად, საქართველოს ეკონომიურს და პოლიტიკურს საკითხებზედ. 3) **საქართველოს ეროვნულ-პოლიტიკური დიდი რუკა.**

კერძო მყიდველთათვის თვითეული კრებული ეღირება 1 მან. 30 კ., რუკა—2 მან., საქართველოს ბიბლიოთეკის თვითეული წიგნაკი—50 კაპ.

ფულის გაგზავნა და ხელის ნოწერა შეიძლება რედაქციის კანტორაში ქ. თბილისი, მოსკოვის ქუჩა, სახლი გაბაშვილისა № 4. ფოსტის ყუთი 76. (Тифлисъ Московская ул. домъ Габаева № 4. почтовый ящикъ № 76.) **და ქ. შ. წ.-კ. გამავრ. საზოგადოების ბუხჰალტერთან ვასილ ედილაშვილთან. დეპეშისათვის—თბილისი „საქართველო“.**

პროვინციებში ხელისმოწერის მიმღებ აგენტების სია ცალკე გამოცხადდება.

გაზეთის კანტორა ღიაა დილის 9—3 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე. რედაქტორ-გამომცემელი **სანდრო შანშიაშვილი.**

მიიღება ხელის მოწერა მოსკოვის ქუჩაზე

პირველი წელი — **პირველი წელი**

„საქართველო“-ს რედაქციის თაოსნობით 1916 წლიდან
სამთვეში ერთხელ გამოვა

კაზმული და სამხატვრო კრებული „მერანი“

კრებული წლიურ ხელის მომწერთათვის ღირს 4 მანეთი. ფასის გადახდა შეიძლება ნაწილ-ნაწილად: 1 მარტამდე 2 მანეთი, 1 თებათვემდე 2 მანეთი, ცალკე ნომერი ეღირება 1 მ. 30 კ. კრებულში მოთავსებული იქნება ჩვენი მწერლების რჩეული ნაწარმოებნი ცნობილ ქართველ მხატვრებისგან დასურათებული. შემოდგომის კრებული საგანგებოდ მიეძღვნება ჩვენი დიდებულის მგოსნის ნ. ბარათაშვილის ძვირფას ხსოვნას მის დაბადებიდან ასი წლის თავის აღსანიშნავად.

ხელის მოწერა მიიღება „საქართველოს“ რედაქციის კანტორაში, თბილისი, მოსკოვის ქუჩა № 4.

გაზეთ „საქართველო“-ს წლიურ ხელის მომწერთ კრებული „მერანი“ უფასოდ დაურიგდებათ.

ორ ფასად ეღირება

1916 წ. მიიღება ხელის მოწერა

დასურათებულ საყმაწვილო ჟურნალ

„ნაკადულ“-ზე

წელიწადი მეთოთხმეტე

ჟურნალი **„ნაკადული“** გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით, საგანგებოდ მოწვეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით.

ჟურნალი გამოდის თვეში ორჯერ

24 წიგნი „ნაკადული“-სა მცირე წლოვანთათვის. **12** წიგნი „ნაკადული“-სა მოზრდილთათვის.

ყოველი წიგნის 1-ლ გვერდზე იქნება მოთავსებული გამოჩენილ მხატვართა ნახატი

ფასი ჟურნალისა: წლიურად ორივე გამოცემა—5 მან. იმათთვის, ვინც ჟურნალს რედაქციაში მოიკითხავს, გაგზავნით კი 6 მან. ნახევარ წლით—3 მ. გაგზავნით 3 მ. 50 კ., ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის **24 წიგნი 3** მ. გაგზავნით 3 მ. 50 კ. მოზრდილთათვის **12 წიგნი—3** მან. გაგზავნით 3 მ. 50 კ. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

ვსთხოვთ ხელის მომწერლებს თუ ჟურნალი „ნაკადული“ არ მისდით, ერთი თვის განმავლობაში გვაცნობონ და ადრესის გამოცვლა დროზე შეგვატყობინონ ადრესის გამოსაცვლელად—40 კ. შეიძლება მარკებით გამოიგზავნოს.

ხელის მოწერა მიიღება

თბილისში—„ნაკადული“-ს რედაქციაში, ზუბალაშვილის სახლი გოლოვინის პროსპ. № 8. Редакція „Накадули“, Головинскій пр № 8. შემოსასვლელი დავითის ქუჩიდან, № 2. და წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, სასახლის ქ. **ქუთაისში**—ისიდორე კვიცარიძესთან, მ. ყაუხჩიშვილთან და თ. მთავრიშვილთან. **სამტრედიაში**—ვლ. ნაცვალაძესთან. **ფოთში**—ლუდმილა მეგრელიშვილთან. **ბათომში**—ტროფიმ ინასარიძესთან ფოსტაში, და ანასტასია ლომინაძესთან. **ოზურგეთში** დ **ლანჩხუთში**—ლეო იმნაძესთან. **თელავში**—ვანო პაატაშვილთან. **ახალციხეში**—კონსტანტინე გვარამაძესთან. **ბაქოში**—მარიამ ნაკაშიძესთან. **გორში**—ქეთევან ჯავახიშვილთან და ნინო ლომოურთან. **ჰიათურაში**—ივ. გომელაურთან. **ხონში**—მ. ი. ჭავჭანიძესთან.

რედაქტორი **ნინო ნაკაშიძე**

გამომცემელი **თ-დ პავლე იოსების-ძე თუმანიშვილი.**

ექიმი-დოსტაქარი

გ. გ. მუხაძე

იღებს ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: კუთხე კიროჩნი და დიდი მთავრის ქუჩისა, სახლი სვანიშვილისა; შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან № 67 ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა

ახალი აფთიაქი

პროვიზორის ახვლედიანისა

დოქტორი მედიცინისა

მოსე ანთიმოსის მე

კალანდარიშვილი

უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე საღამოს 5—7 საათ. ოლღას ქუჩა, № 3, სახლი მელიქ-აზარიანცისა.

ექიმი

გ. დ. წინამძღვრიშვილი

ყ. ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკებისა გადმოვიდა თბილისში და იღებს **შინაგან სნეულებიან** ავადმყოფებს: გულისა, ფილტვებისა და სისხლის სნეულებიანს სპეციალურად. საღამოს 5—7 საათამდე, მიხეილის ქ. № 36, მეორე სართული.

კბილის ექიმმა

მამულაიშვილმა

(ხოდნევისამ)

განაახლა ავადმყოფების მიღება დილის 9—3 საათ. ყოველდღე, გარდა კვირა დღისა.

ოლღას ქუჩა, № 22.

კბილის ექიმი

ნინო რცხილაძე

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. და საღ. 5—7 საათ. ყაზბეგის ქუჩა 14 და კირპიჩნი შესახვევის 21.

სახაზინო თეატრი

სამშაბათს, 1916 წელს 2 თებერვალს, 1 საათზე

თბილისის ქართული დრამატიული საზოგადოება მართავს

ელისაბედ ჩერქეზიშვილის

30 წლის სასცენო მოღვაწეობის აღსანიშნავად

საღამოსასწაულო წარმოდგენას

ბილეთები ამ თავითვე იყიდება „ახალი კლუბის“ კასაში.

ომის ამბები

ომის დეპეშები

18 იანვარი.

უმაღლეს მთავარ სარდლის შტაბისა

პეტროგრადი. **დასავლეთის ასპარეზი. გერმანეთის არტილერიამ მოქმედება გააცხოველა შლოკის მიმართულებით. ბაბიტის ტბის სამხრეთ რაიონში მკვირცხლი სროლაა. პონევეჟეს რკინის გზისკენ მედუგის ტბის მახლობლად გერმანელებმა ძლიერი საარტილერიო ცეცხლი გააჩინეს. გალიციაში, შუა სტრიპის მდინარეობაზე რუსები შემოეხვივნენ ავსტრიელთა საყარაულოს, ნახევარი დაჰხოცეს, დანარჩენი დაატყვევეს. უკანასკნელ ხანებში გახშირდა ავსტრიელთა დეზერტირობა, უბრძოლველად გადმოდიან რუსთა მხარეზე.**

კავკასიის ასპარეზი. **ოსმალთა ფრონტზე ორი კვირის ოპერაციამ რუსებს ანგარიში გაუმართლა. გენერალ იუდენიჩის ჯარებმა რაწამს ოსმალთა ცენტრი შეარყიეს, უკუაქციეს მტერი და აზრუმის სიმაგრეებამდინ მიჰლალეს. იმავე დროს სწრაფი შემოტევით რუსებმა გაანთავისუფლეს მთელი—აზგარ-ხნისის რაიონი. ოსმალებმა აქ მუშის ღელეში დაიხიეს. ხაზოგადო ჯამი რუსთა გამარჯვებისა გამოიხატება იმაში, რომ მათ ოსმალნი წინასწარვე განმტკიცებულ პოზიციებიდან განსდევნეს და სამოცი ვერსი მანძილი მაინც ჩაიგდეს ხელში. მწვერვალებიდან ჩამოეშვენ და დახახლებულ სოფლებში ჩავიდნენ დაბლა, სადაც სურსათი ადვილი საშოვნელია და ზამთრის გასატარებლად ფრიად ხელსაყრელია. მთელს ამ ოპერაციის დროს აუარებელი დავლა დარჩათ, იარაღი, ტყვეები. 16 იანვარს რუსებმა სდევნეს ოსმალები ჭოროხის რაიონში და ასი სული საქონელი წაართვეს.**

პარიზი, 18 იანვარი. არასის ჩრდილოეთით გერმანელებმა ღამით იერიში მოიტანეს „140“ მწვერვალისკენ. შამპანში ჩვენი არტილერია ესვროდა გერმანელთა თხრილებს პრონის ჩრდილოეთით. სროლის დროს შევნიშნეთ ოთხი აფეთქება. არგონებში სანაღმო მუშაობა გრძელდება ორთავე მხრით. დანარჩენ სექტორებში დროგამოშვებით საარტილერიო სროლაა.

ძაირი, 17 იანვარი. „ლაბურს-ეჟიპტიენი“ სწერს. ეგვიპტის გამაგრება ჯერ კიდევ 1915 წელს დამთავრდა და მთელი მხარე უზრუნველყოფილიაო. ეგვიპტე დამშვიდებით მოელის თავის ბედის მომავალს.

გუძარესტი, 17 იანვარი. ბულგარეთიდან იტყობინებიან, სახალხო საკრებულო დიდის ამბით გაიხსნა 13 იანვარსაო. სამიწათმოქმედო კავშირის სახელით ილაპარაკა დიმიტროვმა, სოციალისტების მხრით—პასტუხოვმა. მინისტრ-პრეზიდენტმა უპასუხა: „თქვენ ამბობთ, ვითომც არ შეგეკითხეთ ომის დაწყების შესახებ? არა, ეს მართალი არ არის. შეგეკითხეთ, მაგრამ პასუხს არ იძლეოდით. განა კონსტიტუციაზე შეიძლება ლაპარაკი იქ, სადაც ხალხი თავის საკუთარ ჯარებს თოფს ესვრის? ეს რომ გერმანეთში ყოფილიყო, სულ სხვაგვარად მოიქცეოდნენო“. მის შემდეგ სამხედრომინისტრმა ნაიდენოვმა ილაპარაკა: ხშირადა ხდება, როდესაც ერის შესანახად და დასაცავად თვით კანონებს გადაჰლახავენო.

პარიზი, 17 იანვარი. „ცეპელინები“ ეწვივნენ პარიზს. მაგრამ მათი სტუმრობა შიშის ნაცვლად მხოლოდ ცნობისმოყვარეობას იწვევს. „ტანის“ აზრით ესეთი თარეში სრულიად უმიზნოა და სამხედრო თვალსაზრისით არავითარ შთაბეჭდილებას არ ახდენს. მართალია, ბერლინში ეს ამბავი სიხარულს გამოიწვევს, მაგრამ ომის წარსამატებლად ამით არასფერს მოიგებენო.

პარიზი, 17 იანვარი. გერმანელთა „ცეპელინმა“ დაუწყო პარიზს მიახლოვება, ღამის ათ საათზე პარიზის თავზე დაიწყო ფრენა. მას სროლა აუტეხეს, ჰაეროპლანები გამოუდგნენ, მაგრამ „ცეპელინმა“ გაქცევამდე მოასწრო რამდენიმე ყუმბარის ჩამოგდება. სულ 13 ყუმბარა ჩამოაგდეს. აქედან ერთმა ჩაანგრია მეტროპოლიტენის თაღი, 6 მეტრის სიღრმეზე ჩაანგრია იგი. მეორემ სრულიად გაანგრია სამსართულიანი სახლი, მესამემ ნახევრად დაანგრია აგრეთვე სამ სართულიანი სახლი, მეოთხემ—ოთხსართულიანი სახლი გაანადგურა, მეხუთემაც ასევე გაანადგურა მზგავსი შენობა და სხვა. ცეპელინის თარეშმა შიშის მაგიერ მხოლოდ ცნობისმოყვარეობა და გულისწყრომა გამოიწვია მცხოვრებთა შორის.

ტოკიო, 18 იანვარი. მთავრობამ გადასწყვიტა აღარ შეაჩეროს გერმანელთა და ავსტრიელთა ქვეშევრდომთა. პატენტების მოქმედება, რათა ომის შემდეგ სასამართლოს პროტესტებს არ მისცენ გზა.

მუკდენი, 18 იანვარი. აჯანყებულთა რიცხვი 20 ათასამდე ავიდა. ამათ მიემხრო ზოგიერთი ბრიგადა თავის იარაღით. აჯანყებულთ ხელთ აქვთ 12 ზარბაზანი და ორი ტყვიისმფრქვეველი. აჯანყებულნი პეკინისაკენ მიდიან.

ქურნალ-გაზეთებიდან

ბალკანეთში.

ალბანეთი.

დურაცოდან რომში მისულ ერთ-ერთ მოკავშირე სახელმწიფოს კონსულს უთქვამს: შუა ალბანეთის ბედი უკვე გადაწყვეტილია და უნუგეშოა. სამხრეთ ალბანეთში კი ავსტრიელებს ძალიან გაუძნელდათ მოქმედება, რადგანაც უგზოობისა და ნამქერების გამო ზარბაზნების გადაზიდვა მეტად ძნელია.

ახალი რკინის გზა.

გერმანელებს მონასტირ-ველესის შორის რკინის გზა გაჰყავთ.

გერმანელები მონასტირთან.

მოკავშირეთა მფრინავებს მონასტირის მიდამოებში 50 ათასი გერმანელი მეომარი შეუმჩნევიათ.

ვილჰელმი ბალკანეთში.

„დეილი მეილ“-ი იტყობინება: 18 იანვარს ნიშში ვილჰელმს მეფე ფერდინანდმა ბანკეტი გაუმართა.

სადილზე ვილჰელმს განუშორებლად ხელში სჭერია დიდი წითელი ოსმალური ცხვირსახოცი. თეთრად ამოქარგულ ოსმალურ ვარსკვლავითა და ნახევარ მთვარით. კორესპონდენტის სიტყვით ვილჰელმს დაქანცული სახე ჰქონდა და ხშირად ახველებდა.

ნიში.

ეს ქალაქი ომიანობისაგან ძალიან დაზიანებულია. ეხლა იქ ცხოვრება მყუდროთ მიმდინარეობს. ვაჭრობა გაჩაღებულია, რადგანაც გერმანელი ჯარისკაცები დიდძალ ფულს ჰხარჯავენ.

ახალ დაბადებულთა რაოდენობა.

გერმანეთის მთავრობა მეტად შეფიქრიანებულა, რომ ახალ დაბადებულთა რიცხვმა თანდათანობით დაიწყო კლება. 1913 წ. ახლად დაბადებულთა რიცხვი უდრიდა 620 ათას ბავშვს. 1914 წ. რიცხვი იგი ჩამოსულა 524 ათას ბავშვზე, ხოლო 1915 წ. უფრო უკლია, სულ ჰყოლიათ 487 ათასი ბავშვი. ეს ისეთი მცირე რიცხვია, რაიც გერმანეთს ამ ცამეტი წლის განმავლობაში არ უნახავ.

გერმანელები საბერძნეთში.

გერმანელები ათასობით სტოვებენ საბერძნეთს. რაკიღა მოკავშირენი უცერემონიოთ ატუსაღებენ თვით ელჩებსაც კი, ელჩებმა დაიწყეს თავიანთ არქივების დაწვა, რათა მოკავშირეთ ძვირფას დოკუმენტებად ხელში არ ჩაუგდონ.

მთაშავეთის გარშემო.

რომაული წყაროები ასე ასწერენ მთაშავეთის მდგომარეობას: „მთაშავეთის არმიის მდგომარეობა კრიტიკული გახდა. ჯერ კიდევ ლოვჩენის დაცემამდე. იარაღის ნაკლულევანებას დაერთო სურსათის ნაკლულევანებაც. ჯარებში ერთგვარმა დეზორგანიზაციამ იჩინა თავი. საქმე იქამდის მივიდა, რომ ავსტრიელთა პირველსავე შეტევაზე ლოვჩენის პირველ პოზიციებიდან მთაშაველნი ჩამოვიდნენ და უთავ-ბოლოდ გაიქცნენ. მთაშაველთა ოფიციალი წრეები ოდნავაც არ ჰმალავდენ, რომ ლოვჩენი თითქმის უბრძოლველად დანებდა. მაგრამ ამასთანავე კატეგორიულად სცდილობენ ბრალდება მოიშორონ კაპიტულიაციის შესახებ. მეფე ნიკოლოზმა დროებითი ზავი ითხოვა, მაგრამ ავსტრიელებმა ისეთი პირობები წარუდგინეს, რომ ასეთ ზავზე სავსებით ხელი უნდა აეღო მეფეს. მაშინ ნიკოლოზმა, სამეფო სახლმა და მინისტრებმა დასტოვეს მთაშავეთი და ქვეყნის გამგებლობა ტახტის მემკვიდრეს მირკოს მიანდვეს. მირკომ რა ნახა, შეუძლებელი იყო ავსტრიელებთან გამკლავება, ადგა და ჯარებითურთ ალბანეთს მიაშურა. ასე რომ ამჟამად მთაშავეთის ტერიტორიაზე მთაშაველთა ჯარის ხსენებაც აღარ არის. მათ ჯერ სკუტარს მიაშურეს, რათა აქედან კუნძულ კორფუზე გადავიდენ.

მესოპოტამიაში.

„დეილი ტელეგრაფ“-ის სიტყვით, გერმანელთა სამხედრო შტაბი დიდ სამზადისშია მესოპოტამიაზე გასალაშქრებლად. გერმანელებსა და ოსმალებს გაუმზადებიათ 3000 ავტომობილი ოსმალთა ჯარის გადასაყვანად. ამასთანავე დიდძალი მძიმე ზარბაზნები გაუგზავნიათ მესოპოტამიის ასპარეზზე. ბაღდადში საჩქაროდ ჰგზავნიან თურმე მცურავ ნაღმებს და წყალქვეშა ნავებს (დაშლილს). ეს ნავები და ნაღმები ტიგროსზე მონავოსნე ინგლისელთა წინააღმდეგ სდომებიათ.

მანიფესტაციები საბერძნეთში

ათინაში ყოველდღე მანიფესტაციები ჰხდება. მონაწილენი უმთავრესად ქალები არიან. ესენი პროტესტს აცხადებენ სიძვირისა და საზოგადო მობილიზაციის გამო. საბერძნეთის მთავრობამ მანიფესტანტები შეიარაღებულ ძალებით გაჰფანტა.

გერმანელთა ახალი ჰაეროპლანები

რუსეთის ფრონტზე გერმანელთა ახალმა ტიპის ჰაეროპლანებმა დაიწყეს ფრენა. ესენი „ტაუბეს“ ტიპის ჰაეროპლანზე პატარები არიან, სამამაგიეროდ მეტად მოძრავი და სწრაფმსრბოლნი არიან.

სომეხთა საკითხი რეიხსტაგში

„რეიხსტაგში ს. დემოკრატმა ლიბკნეხტმა გაილაშქრა კანცლერის წინააღმდეგ სომეხთა საკითხის გამო და შემდეგი კითხვები წარუდგინა: „იცის თუ არა კანცლერმა, რომ სომხებს ოსმალები ასი ათასობით ჟლეტენ? თუ იცის, რა ნაბიჯი გადადგა ამის საწინააღმდეგოდ!“ ამაზე ბარონ ფონ შტუმმს უპასუხნია: „კანცლერს ყოველისფერი მოეხსენება, მოეხსენება ჟლეტის ამბავი და ისიც, თუ სომხები ჩვენი მტრის შთაგონებით ოსმალთა წინააღმდეგ რა დემონსტრაციებს ახდენდნენ. ამან გამოიწვია ოსმალთა უკიდურესი ზომა, რათა სომხობა აეყარნათ და ახალ საცხოვრებელ ადგილზე გადაესახლებინათ. დღეს ჩვენსა და ოსმალეთის მთავრობის აზრთა გაზიარებაა, თუ სად როგორი ზომები მიიღონ სრული წესრიგის დასამყარებლად. რაც შეეხება დეტალებს, ამის გამოქვეყნების უფლება არა გვაქვს“.

რუსეთის ასპარეზი.

პინსკთან.

„ბ. ვ.“-ის სიტყვით რუსები ქ. პინსკ. 4 ვერსზედ მიუახლოვდნენ.

გერმანელებს პირველი სანგრები ქალაქის განაპირა უბანში აქვთ გამართული.

მ ი ნ ს კ თ ა ნ.

მინსკის მაზრაში გერმანელების მფრინავებს 3 ყუმბარა ჩამოუგდიათ.

მთაშავეთი.

მთაშავეთიდან რომში მისულს აფიცერს უთქვამს: როდესაც უნგრეთის ჯარის მთავარსარდალმა კევეშმა იარაღის დაყრა შემოგვითვალა, მეფე ნიკოლოზი და მისი მინისტრები უკვე სკუტარიში იყვნენ, ტელეგრაფის მავთული გადაჭრილი იყო და კევეშის წინადადება მეფის ყურამდე არ მისულაო.

ი ტ ა ლ ი ა.

იტალიის მინისტრთა საბჭოსაგან. „სეკოლოს“ სიტყვით, გადაუწყვეტია ალბანეთში მოქმედება განაგრძოს და თავგამოდებით შეეცადოს ვალონის შენარჩუნებას. ვალონს სალონიკის მსგავსად გაამაგრებენო.

———

გერმანული გაზეთი „ნორდ დოიჩე ალგემაინე“ ამბობს: გერმანეთის მოძულე რუსის ნაციონალისტები განგებ ავრცელებენ ჭორს, ვითომც ვილჰელმმა შეუწყო ხელი რევოლუციის დამარცხებას და რეაქციის გამეფებასაო, მაშინ როცა ვილჰელმი წინააღმდეგ აზრისა იყო და ხალხის წარმომადგენლებს უპირატესობას აძლევდაო. შემდეგ გაზეთი განმარტავს: ომი ბალკანეთის სახელმწიფოებმა კი არ გამოიწვია, არამედ იმ გარემოებამ, რომ რუსეთი ინგლისისკენ ისწრაფებოდა, იმავე გერმანელთა მოძულე რუსის ნაციონალისტების რჩევითა და ზეგავლენითაო.

უკანასკნელი ფოსტა

გერმანელთა ჯარი.

როგორც იტყობინებიან ბალკანეთიდან გაჰყავთ ბულგარეთის და ოსმალეთის ჯარი და მათ ნაცვლად გერმანელები თავიანთ ჯარს აყენებენო. ამ ჟამად ბალკანეთში გერმანელი ჯარი 100,000-მდე არის.

სალონიკის წინააღმდეგ.

ფრანგების ცნობით სალონიკთან მიუტანიათ 800 დიდ ყალიბიანი ჩარბაზანი.

ოსმალეთის ბრძანება.

კონსტანტინეპოლიდან სასწრაფო ბრძანება მიუვიდათ ერზერუმში, რათა ქალაქიდან გაიტანონ სახელმწიფო დაწესებულებანი და ბანკები.

მაკენზენი.

სარწმუნო წყაროებიდან იუწყებიან: მაკენზენი 50,000 ჯარისკაცით ბალკანეთში იმყოფება და სალონიკში გალაშქრებას აპირებსო.

ბუკოვინის მხარეს.

როგორც რუსული გაზეთი „რეჩი“ იტყობინება, ბუკოვინის მხარეს ბრძოლა 130 ვერსიან ფრონტზე სწარმოებსო.

საბერძნეთის ჯარი.

საბერძნეთის მთავრობას ამ ჟამად სალონიკში ერთი დივიზია ქვეითი ჯარისა და ერთი ბრიგადა კავალერიისა ჰყავს; პირველად ჰსურდა ეს ჯარი გამოეყვანა, მაგრამ გერმანეთის რჩევით კვლავ სალონიკში იქმნა დატოვებული. გერმანეთის და ავსტრიის ჯარი რიცხვით 300 ათასი, სოლუნთან თავს იყრის.

სერბეთში.

მართველობა და გამგებლობა სერბეთისა გერმანეთის მთავრობამ ბულგარელებს მიანდო.

გრძოლის ველზე

გუშინდელი ოფიციალი ცნობები ახალს არაფერს იძლევა. ყოველმხრივ, საიდანაც კი ცნობებია, არსად თვალსაჩინო ცვლილება არ მომხდარა.

ჩრდილოეთის ასპარეზზე, შლოკის მიდამოებში, და ბაბიტის ტბის მიდამოებში ზარბაზნებით ბრძოლა ყოფილა. ეს ის ადგილებია, სადაც გერმანელები და რუსები აწარმოებენ პოზიციურ ბრძოლას მას აქეთ, რაც გერმანეთმა შემოტევები შესწყვიტა. მდინარე სტრიპაზედაც თვალსაჩინო ცვლილება არ მომხდარა.

კავკასიის ასპარეზიდან ამას წინად ცნობები იყო, რუსის ჯარი აზრუმის სიმაგრეებს მიადგა და ზარბაზნებს უშენსო. შემდეგ ოფიციალად გვაცნობეს, ოსმალებმა შემოუტიეს რუსის ჯარს ამ მიდამოებში. მერმე ოფიციალი ცნობები ბრძოლის ალაგს იხსენებდა აზრუმის რაიონის ჩრდილო მხარეს. გუშინდელ დეპეშებში კი სრულებით აღარავითარი ახალი ცნობა არა არის რა, მხოლოდ საერთო ანგარიშია მოყვანილი რუსის ჯარის ორი კვირის გამარჯვებულ წინსვლისა. თუ რა ხდება სპარსეთში, ან რუსეთის ან ინგლისის ჯარების მხრით, ცნობები კარგა ხანია არ არის.

ბალკანეთიდან მრავალგვარი კერძო ცნობებია. ეს ცნობები სშირად ერთი მეორეს ეწინააღმდეგება. მაგ., იწერებიან, თითქოს გერმანელებმა და მისმა მოკავშირეებმა უკვე შეუტიეს სალონიკში მყოფ ინგლის-საფრანგეთის ჯარებსაო; ამავე დროს იწერებიან, გერმანელებს ფიქრად არ აქვთ ჯერ სალონიკის რაიონისაკენ გალაშქრება, რადგან ეგვიპტისაკენ გასალაშქრებლად ემზადებიანო. ამ უკანასკნელ დღეებში კიდევ იწერებიან, ოსმალეთში გერმანელები მოდიან და არც ეგვიპტისაკენ არც სალონიკისაკენ არ სურთ გალაშქრებაო, იგულისხმება ალბად კავკასიის ფრონტისაკენ უპირებენ გამოგზავნასო. მაგრამ ესეთს არეულ ცნობებს ვერ დაუჯერებს კაცი. მთავრობის ოფიციალი ცნობები კი ძლიერ მცირეა.

დასავლეთ ევროპაშიც არაფერი შესანიშნავი არა მომხდარა-რა თუ მხედველობაში არ მივიღებთ პარიზზე ცეპელინების თავდასხმას. თვით პარიზიდან მოსული ცნობებით ამ ამბავს ძლიერ დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია და ზიანიც მიუყენებია მშვიდობიან მცხოვრებლებისათვის.

იტალეთ-ავსტრო-უნგრეთით როგორც დღემდე დიდი ცვლილება არა მომხდარა-რა.

გ. გ.

თბილისი, 20 იანვარი.

მოსალოდნელი იყო რომ ჩამობრძანების უმალ, თავის პირველ სიტყვაში საქართველოს ახლად დანიშნული ექსარხოსი, ყოვლად სამღვდელო პლატონი, რამეს მაინც იტყოდა იმ ეკლესიის შესახებ, რომლის მწყემსმთავრობა მისთვის ჩაუბარებიათ.

ქართველი ერი ბუნებრივ ლოდინში იყო, რომ ახალ ეგზარხოსისაგან მოისმენდა, თუ მას როგორ ესმოდა ამ წყლულების განკურნება და როგორ უყურებდა ივერიის ეკლესიის ავტოკეფალობის საკითხს, რომლის დადებითი გადაჭრისაგან ქართველი სამღვდელოება და მთელი ქართველი ერიც თავის მშობლიურ ეკლესიის განკურნებას მოელის.

ახალმა ეგზარხოსმა აქ ჩამობრძანებისას სიონის ტაძარში წარმოთქმულ პირველ სიტყვაში ივერიის ეკლესიის ეგზარხოსმა ყველაფერზე ილაპარაკა, თვინიერ თვით ივერიის ეკლესიის ბედისა და საჭიროებისა. ჩვენი ეკლესიის ტკივილებმა და ზრახვამ გამოხმაურება ვერა ჰპოვეს ახლად ჩამობრძანებულ ეგზარხოსში. ერთი მეორისთვის უცხონი აღმოჩნდენ.

დღესაც ასეა. არ გვიკვირს. პოლიტიკური მოქმედების სისაღე როგორც წარსულში, დღესაც ღალატობს ჩვენი ქვეყნის ბედის გამგებელთ.

მაგრამ ახალი ეგზარხოსის აზრ-შეხედულობისა ტ პოზიციის ნათელსაყოფელად ჩვენმა რედაქციამ ეგზარხოსთან საგანგებოთ თავისი კაცი გაგზავნა, წინდაწინვე შემუშავებული საკითხებით. ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში დაბეჭდილი იყო კიდეც საუბარი საქართველოს ეგზარხოსთან. გარდა უმნიშვნელო ერთიორი საკითხისა, ყველა სერიოზულ საკითხს საქართველოს ეგზარხოსი გაუჩუმდა და საკითხის გარშემო იბაასა. მისი პასუხი ქრისტიანული კრძალვით შემოსილი

ივერიის ეკლესიის განსაკურნავად რადიკალური ზომების გამოქომაგება და ზრუნვა მისი ინტერესის დასაცავად, შეუძლებლად არის მიჩნეული... დღევანდელი ომიანობის გამო. მაგრამ ამ ომიანობის გამო არც ეგზარხოსობა გაუქმებულა და არც რომელიმე სხვა დეპარტამენტი თუ სამინისტრო, რომლებიც იმპერიის შინაგანი ცხოვრების მოგვარებას ეწევა.

რად უნდა იყოს აკრძალული უფრო მართებული და კანონიერი მოლვაწეობა, ვერ გაგვიგია?!

თურქეთის პრესა

„შვედელის შთაბეჭდილებანი“ ამ სათაურით გაზეთი „იენი იკბალი“ სწერს:

გერმანიის მთავრობისა და ხალხის მდგომარეობის დაწვრილებით შესასწავლად, გაზეთმა „ტაიმსმა“ გერმანეთში უმაღლესი სწავლა დამთავრებული ერთი პირი **გაგზავნა** რომელიც თავის შთაბეჭდილებას „ტაიმს“-ის ფურცლებზე რამდენიმე საყურადღებო წერილით გამოსთქვამს.

გერმანეთ-ავსტრიასა და სხვაგან, სადაც ზემოხსენებულ პირს უმოგზაურია, ყველგან ამ ორი თვის განმავლობაში სრულის რწმენით ომის დამთავრებას მოელიან: სერბეთი დამარცხდა; სტამბოლის გზა გაიხსნა; ეგვიპტეზე გასალაშქრებლად მზად არიანო და ამ მოკლე ხანში „კალეზე“ იერიშს მიიტანენო. შეთანხმების სახელმწიფონი და ინგლისი მალე ჩაგვბარდებაო. ინგლისელების კარგი მცოდნენი ამ მხარეებში ნაკლებად მოიპოვებაო. მაგრამ ამ ომმა ხალხს ინგლისელებზე აზრი შეაცვლევინა.

1870—71 წლების ომთან შედარებით დღეს ფრანგებს გერმანელები გაოცებაში მოჰყავთ.

მთავრობის წრეებთან დაახლოვებული ერთი პროფესორის მეუღლე, თავისი ქმრის აზრს ამჟღავნებს: გერმანიაში ერბო ნაკლებია, და თუ უცხოეთიდან არ შემოვიტანეთო, გერმანეთი ბრძოლას 12 თვესაც ვერ გაგრძელებსო.

გაზეთებიც კოკოსის (ინდოეთის კაკალი) ერბოს მნიშვნელობას აღნიშნავენ და შეჭამანდიც ამით კეთდებაო ლაპარაკობენო. კვირაში ორ დღეს (ორშაბათსა და სამშაბათს) ხალხი ერბოს არ ხმარობენ და არც სადმე იყიდებაო. კერძო სახლებში, რადგან სასტიკი მეთვალყურეობა არ არის ნეიტრალ ქვეყნებიდან ერბოს შემოტანა ადვილად ხდებაო. კვირაში ორ დღეს (ოთხშაბათსა და პარასკევს) მცხოვრებლებს ხორცი არ ეძლევათ.

ბერლინში ერბო გირვანქა მანეთნახევრად ფასობს, ბრინჯიც მეტად გაძვირდა. კართოფილი ბლომადაა; და ამ წლის კარგს მოსავალზე რომ ლაპარაკობენო ყველა ეს გავრცელებული ჭორებიაო.

მცხოვრებლები ისეთს დისციპლინას დაუმორჩილეს, რომ პოლიციის ყოველს მოთხოვნილებას ასრულებენო და სხვა.

ასე რომ რომელ მხარეშიც გაუვლია და ხალხისათვის უკითხავს, წერილის ავტორს ყველგან პასუხად მიუღია ომი ამ ორ-სამ თვეში გერმანიის გამარჯვებით დასრულდებაო.

ამ დღეებში დავიწყებთ ბეჭდვას ცნობებს ომის შესახებ, რომელიც ყოველდღე მოგვივა სატახტო ქალაქებში მყოფ საკუთარ კორესპონდენტებისაგან.

ახალი ამბავი

პანაშვიდი. 18 ამა თვეს, საღამოს 8 საათზე, ქალაქის თვითმართველობის თაოსნობით ქალაქის საბჭოს დარბაზში გარდახდილ იქმნა პანაშვიდი გრ. ვარანცოვ-დაშკოვის სულის მოსახსენიებლად. დაესწრნენ ქალაქის მოურავი, გამგეობის წევრნი და ხმოსნები, გარეშე ხალხი არავინ ყოფილა.

ეპისკოპოსი ანტონი, როგორც ხმა დადის გადაჰყავთ კავკავის ეპარქიის მმართველად, ხოლო გორის ეპისკოპოსად, ამწესებენ არქიმანდრიტს ნაზარის.

ელისაბედ ჩერქეზიშვილის 30 წლის სცენაზე მოღვაწეობის სადღესასწაულო წარმოდგენის მომწყობი კომიტეტი სთხოვს იმ პირთ, ვინც წინდაწინ ბილეთები დაიკვეთა, კეთილ ინებონ და დაჩქარებით მოითხოვონ ახალი კლუბის კასაში, ვინაიდან წინაღმდეგ შემთხვევაში, შესაძლებელია, უბილეთოდ დარჩენ. კასა ღიაა დილის 10—2 საათამდე და საღ. 6—8 საათამდე.

სახალხო სახლში. კვირას, 24 იანვარს დღის 1 საათზე, გაიმართება საინტერესო დილა სამს განყოფილებად: 1) ვაჟა-ფშაველა და მისი პოეზია. დ. კასრაძესი. 2) გეურქ-აღა და შანტაჟისტები, იუმორისტ. პოემა; წაკითხულ იქნება გრიმებსა და კოსტიუმებში. 3) ლექსები, სცენები და შარჟი.

მონაწილეობენ: კ. დ. ყიფიანი, სოფ. მგალობლიშვილი, ალ. იმედაშვილი, გ. იშხნელი, დ. მგალობლიშვილი, მ. ჭიაურელი, მ. სარაული და ი. დაროშვილი. დასასრულ რ. ჯიბლაძე წაიკითხავს გურულ სცენებს.

ქართულ კულტურის მოყვარულთა საზოგადოების გამგეობას ახალ წევრად მიემატა: კნ. ქეთ. ჯიბრ. ამირაჯიბისა (თავმჯდომარის ამხანაგი), პეტრე მირიანაშვილი და ალ. სვ. ლორთქიფანიძე. განახლებულ გამგეობის კრებები იმართება ყოველ კვირა, ნაშუადღევის $12^1/_2$ საათზე.

ქალაქის არჩევნების გარშემო. მეფის ნაცვლის საბჭოს დადგენილება ქალაქის საარჩევნო სიების შესახებ დაუწერელია [illegible] მის უმაღლესობას, [illegible] განსახილველად. მეფის ნაცვლის საბჭო არ მიემხრო გუბერნატორს და საარჩევნო სიები საბოლოოდ შედგენილად აღიარა, ხოლო საჭიროდ სცნა ფორმალურის მხრივ რამდენიმედ შესწორდეს. მეფის ნაცვალმა თუ დაამტკიცა საბჭოს დადგენილება, ხმოსანთა არჩევნები, როგორც ქალაქის გამგეობა ფიქრობს, მოხდება თებერვლის ბოლო რიცხვებში, ანუ მარტში. აგრეთვე არჩევნებში მონაწილეობის მიღება იმათაც შეეძლებათ, ვისაც წარსულ წლის მეორე ნახევრის საქალაქო ვალი მართებს, რადგან ამისათვის საჭირო იქნება მხოლოდ საბჭოს მხრივ ვადის გადადება ვალის გასტუმრების 14 თებერვლიდან 14 აპრილამდე.

ამინდი თბილისში. ეს მეხუთე დღეა რაც თბილისში ძლიერი და სუსხიანი ქარი ჰქრის. 18 ამა თვეს ქარმა დაჭგლიჯა სახლის სახურავები, ელექტრონის და ტელეფონის მავთულები. ღამით ბევრგან ელექტრონი არ ანთებულა. ბევრგან ფიცრულის ღობეები გადაანგრია.

ქალაქის საბჭო. 18 ამა თვეს ქალაქის საბჭოს კრებას თავმჯდომარემ ა. ი. ხატისოვმა მოახსენა გამგეობის დადგენილებანი გრ. ვორონცოვ-დაშკოვის გარდაცვალების გამო და ერცელი სიტყვა წარმოსთქვა გრაფის მოღვაწეობის შესახებ კავკასიაში მეფის ნაცვლად ყოფნის დროს 10 წლის განმავლობაში. შემდეგ კრებამ აირჩია დეპუტაცია გრაფის დასაფლავებაზე დასასწრებლად ნოვოტემნიკოვოში (ტამბოვის გუბ.). დეპუტაციაში შედიან ხმოსნები ნესმაშნი, სვეშნიკოვი და ქობულაშვილი და, ნიშნად მგლოვიარობისა, კრება, თავმჯდომარის წინადადებით, დაიხურა.

ხმოსანთა საარჩევნო სიების შესამოწმებლად საქალაქო საქმეთა საკრებულომ დანიშნა 6 თავისი მოხელე. ამათ დასახმარებლად ქალაქის გამგეობამ 8 კაცი დანიშნა. სიები ნახევრამდე შესწორებულია. მთელი მუშაობა, ქალაქის მოურავის განცხადების დანახმად, 2—3 კვირაზე დამთავრდება.

პურის საჭიროება თელავში. თელავის ქალაქის მამასახლისი შუამდგომლობს თბილისის ქალაქის თვითმართველობის წინაშე გაუგზავნოს 2 ვაგონი ფქვილი, ვინაიდან თელავში სრულებით არ მოიპოვება ფქვილი და მცხოვრებნი დიდ გასაჭირს განიცდიან.

თავის მოკვლა. როგორც ამბავი მოვიდა, ყარსში რევოლვერით თავი მოუკლავს მეორე სათათბიროს დეპუტატად ნამყოფს ი. ათაბეგიანს.

ომში დაჭრილთა სვე-ბედზე მზრუნავ კომიტეტს სახელმწიფო თეატრში გამართულმა წარმოდგენამ წმინდა შემოსავალი მისცა 1.100 მანეთი.

———

საინგილოს გადაგვარება

(დასასრული)

ამ რიგად ორ ბანაკად გაითიშა მთელი საინგილო, ქრისტიანებად და მუსულმანებად—ეს მთელის საუკუნოების განმავლობაში ძმანი და მეგობარნი, ერთს ჭირსა, ვაებასა და ქარცეცხლში გავლილნი. ჩვენ ეხლა თვალი გადავავლოთ ორთავ ბანაკს და შეძლების დაგვარად აღვნუსხოთ თუ რანაირის სიჩქარითა და ძლიერებით სწარმოებს მათში გადაგვარების პროცესი.

მას შემდეგ რაც ენისელის გაქრისტიანება ვერ მოხერხდა, იგი ღვთის ანაბარად მიუტოვებიათ, თუმცა მეცადინეობა გაქრისტიანებისა დღესაც არ შეწყვეტილა. სხვა ფრივ კი ხელი ჩავიქნიეთ მასზედ, გულიდგან მოვიწყვიტეთ და არ ვეცადენით ან სკოლა დაგვეარსებინა მათთვის ან სხვაფრივ დავახლოვებოდით. ასე გასინჯეთ ზ. ჭიჭინაძისთანა ქართული ეროვნების მქადაგებელი მუსულმანებში და მის გვარნი, წიგნებით დატვირთულნი არასოდეს არა სწვევიან ენისელს. უბრალო გულშემატკივარი მგზავრიც კი, რომელსაც გაკვრით მაინც აღეძრა მათში სიყვარული ქართველობისადმი არა სწვევია აქაურობას. ერთის სიტყვით ქვა მივაგდევით და ჩამოვშორდით.

ამავ დროს კი რას შვრებოდნენ კალიასავით მთელს საინგილოში მოდებულნი დაღესტნიდამ და ნუხიდამ შემოსეულნი მოლა-ჰაჯიები? შინა და გარედ, მინდორში და სახლში, ჩრჩილივით შეჩენილნი ამტკიცებდნენ მუსულმანობაში, ასწავლიდნენ ყურანს, თათრულს წერა-კითხვას და სხვა და სხვა. დრო და გარემოება ხელს უწყობდათ და იმათაც იერიში მიჰქონდათ ინგილოებზედ და ცდილობდნენ ყოველივე ქართველური აღმოეფხვრათ მათ გულში. უპირველეს ყოვლისა ისინი დაჟინებით უკარნახებდნენ, რომ რაც შეიძლება ჩქარა დაეივიწყებინათ ქართული ენა, რათა ქრისტიანობა არავის მიეღებინებინა მათთვის. თქვენ თათრები ხართ და მარტო თათრულს ენაზედ უნდა ილაპარაკოთო, ჩასჩიჩინებდნენ ისინი. ხალხიც შინდებოდა, იბნეოდა და არ იცოდა რა ექნა. ერთს სოფელში შეძლებული პატივცემული ინგილო ქართულად ხმას არა მსცემდა და დაჟინებით გაიძახოდა ქართული არ ვიცი. მერე როცა დავარწმუნე, რომ ჩემგან შიში არ მოელოდა, გაბედა ქართული ლაპარაკი და მითხრა—ჩვენ დაღესტნით მოსულნი ვართ და რადგანაც სიღნაღის მაზრის მეზობლადა ვსცხოვრობთ იმიტომ გვისწავლია ქართულიო. მეორე სოფელში მიმტკიცებდნენ, რომ ჩვენ არეშის მაზრიდამ (განჯის გუბერნია) მოსულნი ვართო. ასე აურიეს, მოსეულმა მოლებმა, თავგზა ამ საცოდავებს!

ამავე პრაპაგანდისტების გავლენით ზოგიერთმა სოფლებმა დადგენილობაც კი იქონიეს რომ ყველამ უსათუოდ თათრულად ვილაპარაკოთო და თუ ვინიცობაა კიდევ ამოიღოს ვინმე ხმა ქართულად, მას ჯარიმა გადავახდევინოთო. რასაკვირველია ასეთი დადგენილობა ზოგიერთს სოფლებში მაინც პრაქტიკულს ნიადაგს მოკლებული არის, მაგრამ მათი პროპაგანდა მაინც უნაყოფოდ არა რჩება. დღეს სრულიად დაივიწყეს სამშობლო ენა შემდეგს სოფლებში: შოთავარში, ბაბალოში, სოსიკაანთ კარში, ლელა-ფაშაში და სხვაგან. ამ პროცესს ხელი შეუწყო იმ საბედისწერო გარემოებამ, რომ რაღაცა მანქანებით ინგილოებში საშინლად იკლო ქალთა რიცხვმა, კაცებთან შედარებით და ისინი იძულებულნი გახდნენ ეს დანაკლისი ნუხის მაზრიდამ და ელდარ-ყაზახიდგან შეეევსოთ. ამის გამო თათრის ქალებით აივსო მთელი სამუსულმანო საინგილო და განსაკუთრებით კი სოფელი მოსული და შოთავარი. ძველი ნათესაობა-მოყვრობა სიღნაღის ქართველებთან გაჭრა და მის მაგივრად ხშირი მისვლა-მოსვლა და ნათესაობა გაცხოველდა ელდარსა და ნუხასთან. ეგრეთვე ისპობა ნათესაობა და მისვლა-მოსვლა ქრისტიან ინგილოებთან.

ყველა ამას თან მოჰყვა ვენახების გაჩეხვა, ქვევრების ამოყრა და ჩალის ფასად გაყიდვა და იმ ზომამდე გაფანატიკოსება, რომლის მსგავსიც მხოლოდ სპარსეთის მუსულმანობაში შემხვედრია. საინგილოს თათრები მაგალითად ქრისტიანთაგან დაკლულს საქონელს ან ფრინველს არ ერიდებიან და არ იზიზღებენ, მუსულმანი ინგილო კი თუ გაიგო რომ ქრისტიანის დაკლულიაო არა სჭამს, აგრედვე ქრისტიანისაგან დალეულს ჭურჭლით სასმელს არ დალევენ და სხვა და სხვა.

ამოვარდა და დავიწყებას მიეცა აგრედვე ქართული გვარები. წინანდელი ნაცვლიშვილი, სარდარაშვილი და სხვანი ეხლა შაბან ოღლია, ნავრუზ ოღლია და სხვა.

ეხლა ზოგიერთს სოფლებში, რომ ჰკითხოთ ვისმეს ვინა ხარო, თამამად გიპასუხებენ თათარი ვარ ან მუღალიო. მაგრამ ჩვენდა საბედნიეროდ ყველა სოფელში ასე არ არის, მაგალითად ისეთს დიდს სოფელში, როგორიც ალიაბათია, ცენტრი მუსულმან ინგილოებისა, სიტყვა მუღალი და თათარი სალანძღავ სიტყვად არის ქცეული. როცა ერთმანეთში ჩხუბი მოუვათ, როგორც სალანძღავს სიტყვას ერთმანეთს მიაძახებენ—„აი შე მუღალო, შე თათაროვო“.

ამგვარს სოფლებში ჯერ კიდევ ქართული სული არ აღმოფხვრილა, ყველგან წმინდა ქართულს გაიგონებთ და თუ ჰკითხავთ ვინა ხარო, გეტყვიან—მუსულმანიო. როცა ეუბნები, უმტკიცებ, რომ ეგეთი ეროვნება არ არსებობსო, რომ თქვენ მარტო სარწმუნოებითა ხართ მუსულმანები და ეროვნებით კი ქართველნიო, მაშინ იგინი თავმოხრით გეტყვიან: განა ჩვენ არ ვიცით, ბატონო, მაგრამ გვეშინიან, ვერ ვამხელთო.

ამგვარია დღე-დღეობით მუსულმან ინგილოთა ყოფა-მდგომარეობა. ბევრი სოფელი, რასაკვირველია, როგორც ზემოდ მოვიხსენიეთ, უკვე სრულიად გადაგვარდა, მაგრამ მრავალ სოფელში ჯერ კიდევ სისრულით არის შენახული ქართველობა აი სწორედ მთელი ჩვენი მოწინავე საზოგადოების გულის ყურიც აქეთკენ უნდა იქმნეს მიქცეული, რათა ისინიც ისევე არ გადაშენდნენ, როგორც დანარჩენნი. ჩვენი მოვალეობაა ეს დაწყებული პროცესი გადაგვარებისა შევაჩეროთ, შევაყენოთ და მას ჩვენთვის სასურველი მიმართულება მივსცეთ.

ახლა თვალი გადავავლოთ ქრისტიან ინგილოებს და ვნახოთ საფრთხეშია აქაც ქართული ეროვნება, ან რა გაკეთდა აქ მას შემდეგ, რაც ეს ხალხი სარწმუნოებითაც შემოუერთდა საქართველოს.

ქრისტიანების დიდს ცენტრს წარმოადგენს ს. კაკი, მაგრამ ჩვენდა საბარკვინოდ და საუბედუროდ უნდა ვსთქვა, რომ ქართული ენა აქაც უნუგეშო მდგომარეობაშია. აქ არსებობს ორ-კლასიანი ნორმალური სასწავლებელი ოთხის მასწავლებლით. თავდაპირველადვე ამ სასწავლებელში სრულიად არ იყო ქართული ენის სწავლება, პირიქით ის თავხედი მასწავლებელი ვინც კი ფარულად მაინც გაბედავდა ქართულის სწავლებას, იდევნებოდა. ერთს ყღმთო წერილის მასწავლებელს-მღვდელს, რომელიც ამგვარად ასწავლიდა ქართულ ენას, ბევრი დაბრკოლება გადახდა. ამ ჟამად ხსენებულს სასწავლებელში თუმცა რამდენიმე წელიწადია, რაც შემოღებულია ქართული ენა, მაგრამ იგი გერის მდგომარეობაშია. ქართულს ასწავლიან მარტო პირველ წელიწადს და აბა წარმოიდგინეთ იმდენს რას შეიძენს ერთს წელიწადს სოფლის შეგირდი, რომელიც ნახევარ გაკვეთილებზედ არ დაიარება, რომ სამუდამოდ დარჩეს ეს ცოდნა. ვიდრე ქართული ენის მასწავლებლად იყვნენ ხუციშვილები მამა და შვილი, ქართული ენის სწავლება ჯეროვანს ნიადაგზე იყო დაყენებული, მაგრამ მათ შემდეგ ისე საყველპუროდ ასწავლიან, რომ სასურველი შედეგი არ მისდევს.

სწორედ ამის გამოა, რომ ქრისტიან ინგილოთაგანი ვისაც კი ცოტათი მაინც უსუნებია სასწავლებლისათვის მოირუსულებს. ასეთს, გინდა შეძლებულიც იყვეს, რომ მიმართოთ ქართული გაზეთი გამოიწერეო, უმალ ამგვარს პასუხს მიიღებთ „ქართული არ ვიცი ვერ გავიგებო და რუსულს კი სიამოვნებით გამოვიწერო.“ ეს კიდევ არაფერი, ხშირად სოფლის სასამართლოებში ვერ შოულობთ ქართულად ხელის მომწერთ საჭირო ქაღალდებზედ, იმ დროს როცა, მოგეცათ ღვთის წყალობა, რუსულად ხელის მომწერი ბევრი იშოვება. ხშირად ნახავთ მშობელს რომელსაც რუსულად მოწერილი ბარათი მისვლია, კიდევ რუსული ასოებით დაწერილი ქართული მოკითხვა, შვილისაგან რომელიც სხვაგან სასწავლებელში სწავლობს, და ყველასა სთხოვს წამიკითხეთ ჩემი გადა რას იწერებაო, რადგან საბრალო დედას არც ერთი ინჩი რუსული სიტყვა არ ესმის.

ჰხედავთ ამ გარემოებას და ძალაუნებურად სწუხდებით, ჩვენ ბედშავებს ისიც ვეღარ მოგვიხერხებია რომ ერომანეთს ქართულად წერილი მივწეროთ.

როგორც მკითხველი ჰხედავს საინგილოს ორივ მხრივ მოელის საფრთხე, იმ დროს როცა სამუსულმანო საინგილო თათრდება, ქრისტიან ინგილოებშიაც ქართული ენა და მისი სწავლება არა სასურველ მდგომარეობაშია. არ ეგონოს ვისმეს რომ სურათს განგებ შავის ფერადებით ვახამებდე, არა, სურათი ქართველობის გათიშვისა საინგილოში სრულია და უტყუარი.

რა უნდა ვქნათ, რა ნაირად უნდა გამოვაკეთოთ საქმე? ჩვენი ხსნა ერთად-ერთ ეროვნულს სკოლებშია. ისეთი სკოლები უნდა გაიხსნას არა მარტო სამუსულმანო საინგილოში, არამედ ქრისტიანებშიაც, რადგანაც ასინიც, როგორც ზემოდ დავინახეთ პირველებზე ნაკლებ არა საჭიროებენ ეროვნულ სკოლებს.

ზ. ედილი.

ბოლო.

— აგერ მეორე კვირა მიდის რაც ქალაქის ქუჩები სიბნელით არის მოცული. ელექტრონის სინათლე აღარა სჩანს.

— აქ კარგა ხანია თავი იჩინა ხორცის ნაკლებობამ. ყასბებმა შუამდგომლობა აღძრეს ქალაქის მმართველობის წინაშე, ნიხრს მოუმატეთო.

პეტროგრადი.

ამ ცოტა ხანში განკარგულება გამოიცემა, რომ საშუალო სასწავლებლებთა მოწაფენი კლასიდან კლასში წლიური ნიშნების მიხედვით გადიყვანონ გამოცდა მოხდება მხოლოდ კერძო სასწავლებლებში,

ალაგირი

6 იანვარს ქართული სკოლის დარბაზში გაიმართა ჩვეულებრივი ქართული საღამო. წარმოდგენილი იყო ქართულ ენაზედ „ბედმა მიღალატა“ კომ. 3 მოქ. თუთაევისა და „მოულოდნელი შემთხვევა“ ვოდ. ერთ მოქ. შემდეგ იყო კონცერტის განყოფილება. მღეროდა ქართული გუნდი პეტრე დავ. მეტრეველის ლოტბარობით. ხალხი დიდძალი დაესწრო.

სოხუმი.

გაზაფხულმა ფოთა გაშალა. ვარდი გაიფურჩქნა. იასა ჰკრეფენ. აკაცია და კომში საამურად აყვავილდნენ. იშვიათი დარი საამო შთაბეჭდილებას სტოვებს იქ მყოფზე.

ზეცდომის გასწორება.

გუშინდელს „ჟურნალ-გაზეთებში“ მოთავსებულია ცნობა: „იტალიელებმა გადასწყვიტეს დაიცვან დურაცო და **ვარნა**,—უნდა იყოს: დურაცო და **ვალონა**“.

ქართველ ქალთა სემინარია

განათლების საზოგადოების გამგეობის და წლიურ კრების მიერ არჩეულ კომისიის წევრთა კრებამ გადასწყვიტა: ახლავე შეუდგნენ საგნების პროგრამების შემუშავებას მომავალ ქართველ ქალთა სემენარიისათვის და ამ საქმის სისრულეში მოსაყვანად მოიწვიონ სპეციალისტები საგნების მიხედვით.

მუშაობა უკვე დაიწყო კვირას, 17 იანვარს, მოხდა პირველი სხდომა საქართველოს ისტორიის პროგრამის შესამუშავებლად. მოწვეულნი ბრძანდებოდნენ პროფ. ი. ა. ჯავახიშვილი, ექ. ს. თაყაიშვილი, ა. თ. ყიფშიძე, ი. გ. რატიშვილი, დ. გ. კარიჭაშვილი, ს. ი. აბულაძე და ბ. ს. რ. გორგაძე. სხდომას დაესწრნენ გამგეობის წევრნი და განათლების საზ. სასწავლებლის გამგე ქ-ნი ი. ფ. ნაკაშიძე.

სხდომაზე სპეციალისტები შეეხნენ ზოგიერთ პროგრამის საბოლოოდ შესამუშავებლად აუცილებლად საჭირო კითხვებს.

პროგრამის საბოლოოდ შესამუშავებელ სხდომის თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა ბ. ს. რ. გორგაძე.

ისტორიის პროგრამის შემუშავებას მოჰყვება ქართული ენისა და სხვა საგნების პროგრამების შემუშავებაც.

რამდენიმე ეპიზოდი თანამედროვე გმირთა ისტორიიდან

ბ-ნი ჩაჩიკიანცი.

ოთხ მომქმედ პირთა შორის თბილისის საზოგადოება ყველაზე ნაკლებ იცნობდა ბ-ნ ჩაჩიკიანცს. ეს საკვირველიც არ არის, რადგან იგი 5—6 წლის წინად ერთი უბრალო მომაკვდავი იყო და ასეთი მცირე ადამიანი ვისთვის არის საჭირო. იმ დროს, ე. ი. 5—6 წლის წინად, ის ყოფილა ნოქრად ძველი ტანისამოსების მოვაჭრე ვიღაც ნახშუმოვთან. წარმოიდგინეთ, რა დოვლათის პატრონია ძველ ძონძების მოვაჭრე და მაშასადამე რა ჯამაგირის ძლევა შეეძლებოდა ნოქრისათვის, მაგრამ ჩაჩიკიანცს გამოუჩენია დიდი ნიჭი. ისე ერთგული ყოფილა თავისი პატრონისა, რომ რამდენიმე ხნის შემდეგ მისგან გასულა და ავლაბრის ხიდის მახლობლად, საცა ძმ. მილოვების მთავარი საწყობები იმყოფება, თავისი საკუთარი „ფირმა“ დაუარსებია. რაღა თქმა უნდა, პირველ ხანად ჩაჩიკიანცის სავაჭრო სახლი ერთობ მცირედი იყო და იმას ყურადღებას არავინ აქცევდა, მაგრამ დაიწყო თუ არა ომი, ჩაჩიკიანცი ერთბაშად ცნობილი კაცი გახდა, ისეთი ცნობილი, რომ თვით მილოვი და დანარჩენი კრეზებიც-კი გაოცებული იყვნენ. მართლაც მოდი და ნუ გაოცდები: ჩაჩიკიანცის ფალას-ფულასის საკუჭნაოო ხელად ვეებერთელა მაღაზიად გადაიქცა, რომელსაც იქვე ისეთივე ვეებერთელა საწყობი გაუჩნდა; საწყობში ტ მაღაზიაში რამდენიმე ასი ათასი მანეთის საქონელი გაჩნდა, სულ ნაღდ ფულზე ნაყიდი, ასე რომ არც ერთი გროში ბანკის ვალი, არც ერთი ვექსილი; გარდა ამისა ჩაჩიკიანცმა ამ მცირე ხნის განმავლობაში შეიძინა ვაებერთელა სახლი სოლოლაკში, ახალ ბებუთოვის ქუჩაზე და უკანასკნელმა გარემოებამ კიდევ უფრო გააბრაზა თბილისის ძველი სოვდაგრები. ბევრმა სრულებით არ იცოდა, თუ სად იპოვნა ჩაჩიკიანცმა ასე ხელად უთვალავი განძი, ხოლო ვიწრო წრე, რომელსაც ეკუთვნიან ადელხანოვი, მილოვი და ამ., კარგად გრძნობდა, რომ ბ-ნი ჩაჩიკიანცი გასუქდა ჯარისკაცთა სამოსლისათვის მთაერობის მიერ მოზიდულ საქონლით და ეს საქონელი ჩაჩიკიანცს გამოტანილი ჰქონდა ადელხანოვის საწყობიდან.

ადელხანოვის საწყობი.

რას წარმოადგენს ადელხანოვს საწყობი და საიდან მოიყარა თავი იქ ამოდენა აუარებელმა საქონელმა? ეს საკითხი აქამდისინ საიდუმლო იყო, მაგრამ ეხლა კი ყველასათვის ცხადი ხდება.

რუსეთ-იაპონიის ომის შემდეგ ბ-ნი ადელხანოვი გამხდარა კავკასიის ჯარების იჯარადარი. მისს მოვალეობას შეადგენდა ყოველგვარ სამოსლის შეკერვა კავკასიის ყველა ჯარებისათვის. საინტენდანტო აბარებდა ადელხანოვს საქონელს, ხოლო ეს უკანასკნელი თავისი ხარჯით ამ საქონელს სჭრიდა და ჰკერავდა და გადაწყვეტილ ფასებში აბარებდა მხედრობის ამა თუ იმ ნაწილს. ამრიგად ბ-ნ ადელხანოვის საწყობში ყოველ წუთს დიდძალი სახელმწიფო საქონელი ეწყო. აი, ამ საქონელს გაუსვა ხელი ადელხანოვმა და კერძო კაცებზე, როგორც მაგალითად, მილოვზე, ჩაჩიკიანცზე და ოსიპიანცზე, დაიწყო გაყიდვა. თუ როგორ ახერხებდა ბ-ნი ადელხანოვი სახელმწიფო საქონლის ასე აშკარად ფლანგვას, ნუ თუ იმას არავინ უკეთებდა კანტროლს, ანუ ანგარიშს რატომ არ სთხოვდა საინტენდანტო, ეს ჯერ-ჯერობით საიდუმლოებას შეადგენს. საზოგადოებაში გავრცელებული ხმა, რომ ადელხანოვს დახელოვნებული ქარგლებიც ჰყავდა და გამოჭრის დროს ანარჩენებდნენ საქონელსაო, შეიძლება მხოლოდ რამოდენიმედ იყვეს მართალი, საერთოდ და უფრო მომეტებულად კი, როგორც ჰფიქრობენ, ასეთი ქურდობის მიზეზი უფრო შორს იმალება, რასაც, თქმა არ უნდა, გამოძიება აღმოაჩენს. ტანთსაცმელების გამოჭრის დროს დარჩენილი ნაჭრები იჯარადარს საინტენდანტოსთვის უნდა დაებრუნებია და ამ თავისს ვალდებულებას ადელხანოვი პირნათლად ასრულებინებდა ნაკუწებს.

პირველ ხანებში ბ-ნი ადელხანოვი სრულებით აშკარად ჰყიდდა საქონელს თავისს საწყობში და მყიდველები თავისუფლად ეზიდებოდნენ დროგებით ნასყიდ საქონელს თავიანთ დუქნებში. ადელხანოვის ნოქრებს ეჭვიც არ ეპარებოდათ, რომ ასეთი ვაჭრობა უკანონო იყო. შემდეგ კი რამდენიმედ გაფრთხილდა ადელხანოვი და გაყიდულ საქონელს ცალებათ აკვრევინებდა და თავისი დროგით უგზავნიდა მყიდველს მაღაზიაში. ბევრი ასეთი ცალი ეხლა დაჭერილია და ჯერ-ჯერობით პოლიცმეისტრის განკარგულებაში იმყოფება. აგრედვე ბ-ნს პოლიცმეისტერს ფოტოგრაფიული სურათებიც აქვს იმისა, როგორ იტვირთებოდა ადელხანოვის დროგი გასყიდული საქონლით და ვის მაღაზიაში იცლებოდა იგი.

როგორ მიაგნო პოლიციამ ქურდობის კვალს?

ეს საკითხი ფრიად საინტერესოა და აღსანიშნავი. ბევრი დარგი იმ საქონლისა, როსელსაც ადელხანოვი ჰყიდდა, ქარხნებისაგან მზადდება მთავრობის შეკვეთით მხოლოდ ჯარებისათვის და ქარხნებს არ შეუძლიანთ იმ გვარი საქონელი კერძო პირთათვის დაამზადონ და გაჰყიდონ. თბილისში-კი რადგან ასეთი საქონელი ბლომად აღმოჩნდა კერძო პირთა ხელში, პოლიციის აგენტების ყურადღება მიიპყრო ამ მოვლენა. რაღა თქმა უნდა, პოლიცმეისტერმა ბ-ნმა ზდანოვსკიმ მაშინვე ჩასჭიდა საქმეს ხელი და ყველაფერი დაწვრილებით გამოარკვია.

პირველად საქონლის მყიდველები არ ამბობდნენ, თუ ვისგან შეიძინეს საქონელი, მაგრამ, როგორცა სჩანს, თბილისის პოლიციის ხელმძღვანელს კარგად სცოდნია თავისი საქმე. ერთხანად პოლიციამ თითქოს თავი მიანება საქმის ძიებას, ვითომც თბილისში არა მომხდარიყოს-რა და პრესაში მოგონილი ამბავი გაავრცელა, რომ კასპიის იმიერ მხარეს საინტენდანტოს საწყობი გაქურდესო და მოპარულ საქონელს დაუწყო ძებნა. როცა ადელხანოვთან ნასყიდ საქონელს მოავლო ხელი ამა თუ იმ მაღაზიებში და შეაშინა, რომ ეს კასპიის იმიერ მხარეში ნაპარევი საქონელი გიყიდნიათო, მაშინ მილოვმა და სხვებმაც ადელხანოვიდან ნასყიდობის ბარათები გადმოუშალეს და განაცხადეს, რას გვემართლებით, ჩვენ არავითარი ნაქურდალი საქონელი არა გვაქვს, აი დასამტკიცებელი საბუთებიო.

როგორც ამბობენ, ჯერ მთელი ისტორიის პირველ მოქმედების პირველი აქტია სცენაზე ნაჩვენები; მთელი მოქმედება როცა გამოაშკარავდება, ბევრს საოცარს ამბავს გაიგებს საზოგადოება.

„სომხეთის დრამა და დაშნაკცუტიუნის მოლაპარაკება ახალგაზრდა ოსმალეგთან“

ამ სათაურით სომხურ გაზეთ „კავკაზსკოე სლოვოში“ მოყვანილია იმ ორი ორიენტაციის გამომხატველი აზრები, რომელსაც დაუმკვიდრებია სომხის ერის მოწინავე ელემენტებში. ერთი განსაზღვრავს ოსმალეთის სომხების სულისკვეთებას და მასთან, როგორც ეტყობა, მთელი სომხეთის ერისას და მეორე—რამდენიმე თბილისელი პოლიტიკანისას, რომლებმაც პროვოკაცია გაუწიეს თავის საკუთარ ერს და გამოუსწორებელი ნაბიჯი გადაადგმევინეს. ამ ორი თვალსაზრისით არის გაშუქებული ამ უკანასკნელ დროს სომხის ერის თავზე დატეხილი უბედურება. ერთი მიმართულების სომხური პრესა ამტკიცებს, რომ სომხების ყლეტა ოსმალეთში გამოწვეულია რუსეთის სომხების მოხალისეთა რაზმების შექმნით და საზოგადოდ რუსეთის ორიენტაციით, მაშინ როდესაც მეორე მიმართულება დაუსაბუთებლად იმეორებს იმ აზრს, რომ სომხების ამოყლეტა წინასწარ განზრახულის შედეგი არისო.

ეს საკითხი მეტად საინტერესოა ჩვენთვისაც, თავისი პოლიტიკური შინაარსიანობით, რადგან ის უბედურება, რომელიც დაატყდა სომხებს, მრავალ გზით ეხება ჩვენს პოლიტიკურ ინტერესებსაც. ამიტომ ნებას ვაძლევთ ჩვენს თავს უფრო ფართოდ შევეხოთ ამ საკითხს და ყოველმხრივ ავწონ-დავწონოთ, თუ საით იხრება მისი პოლიტიკური სიმძიმის ცენტრი.

ცხადია, რომ გამოქცეულთა ტალღა, რომელმაც უფრო გაამწვავა ქართველ-სომეხთა დამოკიდებულება, პირდაპირი შედეგი იმ ბრმა პოლიტიკისა, რომელსაც ეხლა ეურჩება სომხის შეგნებული ნაწილი; მაგრამ რაღა დროსია: სომხის ერის ერთი ნაწილი მთელი ოსმალეთის სომხობა დაცლილია სისხლისაგან და კავკასიელ სომხების პოლიტიკანობამ ბინდარი ეროვნებანიც გადიკიდა სამტროდ. ამის მთავარი მიზეზი ის კი არ არის მხოლოდ, რომ აქაური სომხობა დაემყარა განსაკუთრებით ხელის უფალთა მაცდურობას, როგორც აღნიშნავს ბ-ნი მინასიანცი, არამედ ის, რომ ეს უცნაური შეუღლება სომხებს უნდა გამოეყენებინათ მეზობლების დამცირებისა და გათელვისათვის. ჩვენ მაშინვე ვაფრთხილებდით სომხის „მოღვაწეთ“, რომ სხვის უბედურებაზედ აშენებული ბედნიერება—ვერ იქნება საიმედო, მაგრამ სწორედ სომხური „კავკაზსკოე სლოვო“ ბ-ნ სემიონოვის მეთაურობით აწბილებდა ჩვენს აზრს და შოვინისტობას, კაციჭამიობას და ათას სხვა ავაზაკობას გვწამებდა, იმავ აზრების გამოთქმისათვის, რასაც ეხლა სწერენ თვით სომხის ერის გულის შემატკივარნი და საითკენაც ცხადათ იხრება თავათ „კავკ. სლოვოს“ სულისკვეთებაც. (ჩვენ აქ ერთხელ კიდევ უნდა გაუსვათ ხაზი იმ საეჭვო როლს, რომელსაც თამაშობდა სომხის ერის საქმეში „კავკ. სლოვო“ და მისი ოფიციალი რედაქტორი).

მაგრამ შეუდგეთ თვით ორიენტაციების განხილვას.

„კავკ. სლოვო“ შეგნებულად, თუ საცენზურო წესების ზეგავლენით ვერ ამბობს გულახდილად ყველაფერს და თითქოს განვგებ შერეულადა აქვს წარმოდგენილი სხვა და სხვა მიმდინარეობა სომხებისა კავკასიაში და ოსმალეთში, მაგრამ, რამდენადაც ჩვენ ვიცით, და რაიც არა ერთხელ გაკვრით ყოფილა აღნიშნული სომხურ პრესაშიაც—ოსმალეთის სომხები იზიარებენ იმ ორიენტაციას, რომელიც „ახალგაზრდა ოსმალების“ ხელსაყრელი იყო, მაშინ როდესაც კავკასიელი სომხები მთლად გატაცებულნი იყვნენ რუსეთის ორიენტაციით, რაიც „კავკაზსკოე სლოვოს“ ტერმინოლოგიით გამოიხატა შემდეგ ფორმულაში: **„მცირე აზიის დაპყრობაში რუსეთი ემყარებოდა ჯერ საქართველოს, და ეხლა კი (ამ ომში) სომხეთსაო“**. ამ ფორმულას ჩვენ თავის დროზედვე გაუსინჯეთ კბილი და აღვნიშნეთ ორი ელემენტი: ჯერ ერთი განსხვავება ამ ორი მოვლენისა, ვინაიდან რუსეთს შეეძლო დამყარებოდა თავისუფალ საქართველოს და ეს თავისუფალი კავშირი იყო თანასწორ უფლებიან სახელმწიფოებისა, მაშინ, როდესაც ოსმალეთის სომხებზედ დამყარება—ეს მოპირდაპირე სახელმწიფოს **მეამბოხეებზე** დამყარებაა და გამოიწვევს კანონიერს გულისწყრომას ოსმალეთისას. საუბედუროდ ჩვენი წინასწარმეტყველება მეტად მალე გამართლდა და სომხის ერი გლოვითღა იხსენიებს ოსმალეთის სომხეთს. (მოიგონეთ მწარე წერილები ჩალხუშიანისა, შირვანზადესი, არაქელიანისა და სხ.). მეორე ელემენტი, ის იყო, რომ სიბეცეა სომხის უუფლებო ერისა **აშკარად, გამოცხადებით** გადასვლა რომელიმე მებრძოლის მხარეზე, როდესაც იგი ნაწილად რუსეთშია და ნაწილად ოსმალეთში. ასეთი „გამბედაობა თავისუფალმა და შეიარაღებულმა პატარა ერებმაც არ გამოიჩინეს, რადგან პოლიტიკური ალღო არ აძლევდა ამის ნებასა. ჯერ თავისუფალ საქართველოს თავისუფალმა ორიენტაციამ რუსეთისაკენ. სპარსეთი და ოსმალეთი აამხედრა საქართველოს წინააღმდეგ; და აღამაჰმადხანის შემოსევა წარუხოცელ დაღად დაესვა საქართველოს და რაღა თქმა უნდა რომ ოსმალეთის **ქვეშევრდომ** სომხების აჯანყება და რუსეთის სომხების ამხედრება—უსასტიკეს დასჯას გამოიწვევდა ოსმალებისაგან. მაშასადამე სომხების ამოყლეტა ლოღიკური შედეგი იყო პოლიტიკური „სიმპატიებისა“ რომელიც სომხის ერს თავზედ მოახვიეს. ამაზედ გაზ. „მშაკიც“ კი სწერდა, როცა იხსენიებდა სტამბოლის სომხის პატრიარქის კონდაკს („სომხები ოსმალებს უნდა დაეხმარენონ“) და იმ აღშფოთებას ოსმალებისას, რომელიც გამოიწვია კავკასიელ სომხების დემონსტრაციებმა თბილისში, ყარსში და სხვაგან.

რომ ესეთი დასკვნა უმცდარია, სჩანს თვით იმ მოლაპარაკების ხასიათიდან, რომელიც უწარმოებიათ „დაშნაკცუტიუნის“ წარმომადგენელთ „ახალგაზრდა ოსმალებთან“, როდესაც სომეხ-ოსმალთა ურთიერთობა ჯერ კიდევ გამწვავებული არ იყო. თურმე ოსმალები ჰპირდებოდნენ სომხებს ავტონომიას, საცა უნდა შესულიყო განჯის, ერევნის გუბერნია, ვანის, ბთილისის, აზრუმის ვილაიეთები და სხ., თუ კი სომხები მხარს დაუჭერდნენ ოტომანთა იმპერიას. ოსმალეთის სომხებს გადაჭრით უარი უთქვამთ და ნეიტრალობა უღიარებიათ თავის პროგრამად;—ეს უცილობელი სიბრძნეც იქნებოდა, მაგრამ კავკასიელ სომხებს სხვა დაპირებანი ჰქონდათ და ამიტომ ისინი არა თუ არ იზიარებდნენ „ნეიტრალობის“ პოლიტიკას, და თვით ომის არასასურველობას, არამედ, დანამდვილებით ითქმის, შეძლებისამებრ ხელს უწყობდნენ და აჩქარებდნენ კიდეც ომის დაწყებას. რასაც პირუთვნელი ისტორია გამოარკვევს. სომხები არწმუნებდნენ ადგილობრივ მთავრობას, რომ ოსმალეთს თითქმის მარტო სომხობა დასცემდა, თუ დახმარება ექნებოდა მთავრობისაგან; და ჩვენ ვიცით რომ ამ შემცდარმა აზრმა წაიტყუა არა მარტო სომხის ხალხი, არამედ უფრო „შეგნებული“ ხელისუფალნიც, რომელთაც არ ენაღვლებოდათ სხვისი ხელით ნარის გლეჯა. სომხის მოწინავენიც, რომელნიც იცნობენ საქართველოს ისტორიას, რომელნიც იცნობენ აგრეედვე პოლიტიკურ ფორმულას: „ჩვენ გვინდა სომხეთი უსომხეთოდ“, აჰყვნენ გულის თქმას და წაიჩეხნენ: სომხეთი უსომხეთოდ დარჩა. ასეთი მარცხი მით უფრო სავალალოა, რომ ჯერ ერთი მისი გამოსწორება შეუძლებელი არის, მეორეც ამოყლეტილ და გაუბედურებულ სომხეთის ნაწილი კავკასიისაკენ წამოვიდა და შეავიწროვა ისედაც შევიწროებული ადგილობრივი მკვიდრი და მესამეც ის, რომ ხანგამოშვებით, თვით ამ პოლიტიკის მწარმოებელნი გრძნობდნენ და ამბობდნენ: ნუ შეხვალ ნუ ებანები, ნუ გამოხვალ—ნუ თრთიო. ეს განწირვა ხალხისა შეუგნებლად ხდებოდა თუ შეგნებით—ერისათვის ორივ ერთია და სომხების უბედურება იმაშია, რომ უფლება რაინდული სიკვდილისა, რომელსაც დიდი სახელმწიფონი აძლევენ ხოლმე პატარა ერებს—მათთვის სანუგეშებლადაც არ გამოდგება, ვინაიდან სომხის ერის რაინდობა მხოლოდ მის ამოყლეტაში გამოისახა და ეს არ არის საშვილიშვილო საგოდებელი მისთვის, როგორც სწერდა ზოგიერთი პოეტი-პუბლიცისტი.

ამ გვარად სომხის ერის დრამა დამთავრებულად უნდა ჩაითვალოს პირველ თავის ნაწილში

თუ როგორია მეორე ნახევარი სომხის დრამისა, ამაზედ შემდგომ.

რ. გ.

კახეთის კავშირი და მისი შემადგენლობა

კახეთში უძველესი წვრილი სესხის დაწესებულება არის ყვარელის საკრედიტო ამხანაგობა „დაარსდა 1907 წელს). ამის შემდეგ მხოლოდ 1911 წლის სექტემბრიდგან არსდება მთელი წყება ამხანაგობებისა (ველისციხეში, გურჯაანში, კარდანახში, ლაგოდეხში და სხვა.) რომელთა რიცხვი თან და თან იზრდება და დღეს ოთხ წელიწადში შიდა კახეთში (თელავის, სიღნაღის და თიანეთის მაზრებში) 39 ამხანაგობა მოქმედებს.

კახეთის განსაკუთრებულმა პირობებმა (სამეურნეო დარგთა ერთ-ფეროვანება და მაღალი კულტურა) ამხანაგობათა მოქმედების დაწყებიდგანვე დაანახვეს მათ ხელმძღვანელთ კავშირის აუცილებლობა,—უმთავრესად საშუამავლო ოპერაციის საწარმოებლად.

1912 წლის ნოემბერშივე შესდგა ს. ველისციხეში კერძო პირთა და ორიოდე ადგილობრივ ხელმძღვანელთა თაებრივ კავშირის დაარსების შესახებ.

ამის შემდეგ 1913 წლის ნახევარში უკვე სისტემატიურად იმართება საკრედიტო დაწესებულებათა წარმომადგენლების თათბირები—თელავში, ველისციხეში, გურჯაანში, სიღნაღში... და კახეთის კავშირის დაარსების აზრი საბოლოოდ სწყდება—ცხრა ამხანაგობა (ოთხი თელავის, ოთხი სიღნაღის და ერთიც თიანეთის მაზრისა) ხელს აწერს კახეთის კავშირის წესდებას და გზავნის პეტროგრადში დასამტკიცებლად.

მას შემდეგ კახეთში არც ერთი დიდი კრება არ მომხდარა, რომელსაც სურვილი არ გამოეთქვას კახეთის კავშირის დაარსების დაჩქარებისა. ხშირად კრებები სათანადო უწყებაში შუამდგომლობასაც კი აღძრავდენ ხოლმე.

(სამეურნეო თათბირები, რომელნიც საიმპ. სამეურნეო საზოგადოების თაოსნობით იყო მოწყობილი და კოოპერატივთა რწმუნებულების ყველა ყრილობა).

ბოლოს, ორი წლის განმავლობაში კანცელარიებში ნატანჯი კახეთის კავშირის წესდება, თბ. გუბ. თ. აზ. მარშლის თან. აღ. თ. დ. ე. ჩოლოყაშვილის და დეპუტატ კარლო ჩხეიძის დახმარებით დამტკიცდა 1915 წლის 25 ენკენისთვეს.

რამდენიმე წინასწარ თათბირის შემდეგ, 13 ქრისტეშობისთვეს შესდგა კახეთის კავშირის დამფუძნებელი კრება, რომელსაც დაესწრო 35 ამხანაგობის რწმუნებული, რიცხვით 68 კაცი.

დღეს უკვე არსებულ კავშირში შედიან:

თელავის მაზრიდან 1 შემნახ. გამსესხ. და 12 საკრედიტო.

	კრებას დაესწრო	რწმუნებული
1) აწყურის	საკრ.	2
2) ენისელის	„	2
3) **ვაჩნაძიანის**	„	3*)
4) **თელავის**	შემნ.-გამსეს.	3
5) კონდოლის	საკრ.	3
6) ნაფარეულის	„	1
7) რუისპირის	„	1
8) **ძველი-გავაზი**	„	1
9) წინანდლის	„	3
10) შილდის	„	2
11) შაშიანის	„	2
12) ყვარელის	„	2
13) ფშაველის	„	1
	სულ	26

სიღნაღის მაზრიდან 16 შემნ.-გამს. და 4 საკრედიტო.

		რწმუნებული დაესწრო.
1) ანაგის	შემნ.-გამს.	2
2) არაშენდის	საკრ.	1
3) **ბაკურციხის**	შემ.-გამს.	„
4) ბოდბისხევის	„	2
5) ბოდბის	საკრ.	2
6) **გურჯაანის**	შემნ.-გამს	3
7) ვაქირის	„	3
8) **ველისციხის**	„	3
9) ზემო-მაჩხაანის	„	2
10) კაკაბეთის	„	2
11) **კარდანახის**	„	3
12) კელმეჩურის	„	2
13) ლელიანის	საკრ.	2
14) მირზაანის	შემნ.-გამს.	2
15) ნანიანის	საკრ.	1
16) საქობოს	შემნ.-გამს.	2
17) სიღნაღის	„	2
18) ხირსის	„	1
19) ჯუგაანის	„	2
20) ქვემო-მაჩხაანის	„	2
	სულ	39

თიონეთის მაზრიდგან:

1 **ახმეტის საკრედიტო ამხ.** 2 რწ. დაესწრო.

სამი მაზრიდგან კავშირში არ შესულან ჯერ მხოლოდ ღა ორი ამხანაგობა (ლაგოდეხის და დედოფლის წყაროსი) სიღნაღის მაზრიდგან და სამი ამხანაგობა (ალვანის, თიონეთის და ერწოსი) თიონეთის მაზრიდგან.

დამფუძნებელ კრებას დაესწრენ აგრეთვე გარე კახეთის ამხანაგობათა რწმუნებულნი და კრებას განუცხადეს ივრის ხეობის ამხანაგობათა კავშირში შესვლის სურვილი. ეს კითხვა რწმუნებულთა უახლოეს საზოგაგო კრებაზე გადასწყდება.

დიდი ერთსულოვანება გამოიჩინა კახეთმა კავშირის დამტკიცება-დაარსებაში და ნუთუ ეხლა,—როდესაც კავშირის არსებობის საჭიროება ათასჯერ მეტად ცხადია—ვერ გამოიჩენს იმდენ გამჭრიახობას და ერთსულოვანობას, რომ ეს უდიდესი საქმე კერძო პირთა ჟინიანობას არ შეეწიროს მსხვერპლათ?!.

ჩვენ გვწამს, რომ გამოიჩენს.

---

*) შავი ასოებით აღნიშნული არიან დამფუძნებელი ამხანაგობანი.

თანამედროვე ომი და პროფ. გრედესკული

II

პროფესორი გრედესკული თავის ლექციის მეორე ნახევარში დამსწრე საზოგადოებას სტრატეგის სახითაც მოევლინა, თუმცა ამის ავტორიტეტობას სრულიადაც არ იჩემებდა. მხატვრული და მიმზიდველი ფერადებით აგვიწერა ომის პირველი დღეები, როდესაც ევროპის სახელმწიფონი ავტომატურად ჩაერივნენ ომის ქარბუქში, თუ გერმანელთ როგორ გაუკრუჭდათ იმედები, რომ ბელგეთი ომს ვერ გამოუცხადებდა, ანუ ინგლისის წინაშე რა დამამცირებელი როლი არ იკადრეს, რათა ომში არ ჩამოჭრეოდათ იგი, გვითხრა ისიც, თუ გერმანეთის ომის გეგმა როგორ ერთიან ჩაიფუშა, როდესაც ზვიადად ჰფიქრობდა მთავარი ძალებით საფრანგეთის დაფაცურებით და ფარ-შუბით ბრძოლის ველიდან ჩამოვაგდებო. მარნაზე ბრძოლამ სხვაგვარი გაკვეთილი მისცა, გერმანეთმა ფრონტი იცვალა და ახლა აღმოსავლეთისკენ გამოჰკრა დეზი.

მაგრამ გრედესკულის სტრატეგია ნაკლებ გვაინტერესებს. მის ლექციის საყურადღებო ადგილს ეს არ შეადგენს, არამედ მისი შეხედულობა მომავალზე, თუ რა იქნება მომავალში, როცა ომი დამთავრდება. გრედესკულს ღრმად სწამს საბოლოო გამარჯვება. იგი აღტაცებით იხსენიებს მოკავშირეთა ერთსულოვან და შეწყობილ მუშაობას. გამარჯვება მით უფრო უტყუარია, რომ ომში ჩაერივნენ სრულიად დაუინტერესებელი სახელმწიფონი, როგორც მაგალითად, ბელგეთი და ინგლისი. მათ შეეძლოთ ებრძოლათ, შეეძლოთ სულაც არ გაჰრეოდნენ. მათმა ომში ჩარევამ გააღრმავა მოკავშირეთა იდეური მოტივები, ბელგეთს შეეძლო კატასტროფა თავიდან აეცდინა, მაგრამ პატივის შელახვას ისევ გმირულად სიკვდილი არჩია და გერმანეთს არ გაუღო საფრანგეთისკენ გასაქანი გზა. ინგლისიც ბრძოლის ველზე მხოლოდ მაშინ გამოვიდა, როდესაც გერმანეთმა დაარღვია მისგანვე ხელმოწერილი ნეიტრალიტეტი სრულიად დაუცველი ბელგეთისა. აი ეს ორი გარემოება ფრიად აღრმავებს ომის შინაგან აზრს, სახელდობრ ეს იმ ომის აზრს, რომელიც ჰგულისხმობს უფლებისა და კულტურის გამარჯვებას ბარბაროსთა უხეშ ძალაზეო.

ბელგეთის როლი ამ ომში განსაკუთრებულია. მას სთვლიდნენ ბურჟუაზიულ სახელმწიფოდ, რომელსაც ვაჭრობა-მრეწველობისა და კეთილდღეობის იქით არა სწამდა რა. მაგრამ საქმემ დაგვანახვა, რომ ბელგეთში მხედრული სულიც არ იყო ჩამქრალი და როცა საჭიროებამ მოიტანა, ისინიც აღსდგნენ. მან და ინგლისმა იმავე თავიდან ხაზი გაუსვეს, თუ ვინ ვის უნდა მიმხრობოდა. მოკავშირენი, რუსეთი, საფრანგეთი და ინგლისი სულ სხვა გვარის კულტურისა, მისწრაფებისა, მსოფლმხედველობისა და წესწყობილების სახელმწიფონი არიან ვიდრე გერმანეთი და მისი მოკავშირენი. თავისუფლების მოყვარული ინგლისი, დემოკრატიული საფრანგეთი, რუსეთი თავის ძველი „სიმართლისადმი ღტოლვილებით“,—ეს აწმყოშიც და მომავალშიაც მსოფლიოს მისცემს გაცილებით მეტს, ვიდრე მილიტარისტული გერმანეთი, ვიდრე ამ უკანასკნელის უწმინდური, უპატიოსნო, ავადმყოფი თუმცა ძლიერი კულტურა! გრედესკულმა ამის დასამტკიცებლად დაიმოწმა მსოფლიო მოაზრეთა სიტყვები, როგორიცაა ანარქისტი კროპოტკინი, სოციალდემოკრატთა ქურუმი პლეხანოვი, თანამედროვე კანტი—ბერგსონი და სხვა, რომელნიც ერთბაშად დასძენენ, საჭიროა გერმანეთის მილიტარიზმის შემუსვრა, რათა ერთხელ და უკანასკნელად ბოლო მოეღოს ადამიანთა შორის ასეთს კაციჭამიობასაო.

ბევრი რამ სთქვა თვით რუსეთზედაც. გრედესკულს მაინც სჯერა, რუსეთი და მხოლოდ რუსეთი იქმნება და არის კიდეც გერმანეთის უმთავრესი მტერიო. დღემდე ვასალურს დამოკიდებულებაში ვიმყოფებოდით, გერმანეთმა დაგვიმონავა. მან ხელი შეგვიშალა განმათავისუფლებელ მოძრაობის დროს, რომ დემოკრატიულ აზროვნებას ფრთები შესხმოდა. გერმანეთმა გააძლიერა და გაამარჯვებინა რეაქცია. მაგრამ დღეს რაკი შევიგნეთ, რომ ეს მოყვრობით კი არ მოსდიოდა, არამედ ფარულ განზრახვათა განსამტკიცებლად, იმიტომაც უარს ვყოფთ, მას ერთგვარი ბოიკოტი უნდა გამოვუცხადოთ, ყოველისფერში ეჭვი შევიტანოთ, თვით მის მეცნიერებაშიც კი, ეს იმ მეცნიერებაში, რომელიც თურმე ფარულად 42 სანტიმეტრიან ვეშაპებს აგებდა და მოშხამულ გაზებზე მუშაობდა. გრედესკულს ყველა ეს მავნებლად მიაჩნია და მოითხოვს, რომ გერმანეთის მაგიერად ახლა მივმართოთ მოკავშირე სახელმწიფოთ, რომელნიც მეცნიერების მხრით არც ისე დაბლა სდგანან, როგორც დღემდისინ ვფიქრობდით.

სახელმწიფოთა დარაზმვისა და ორ ბანაკად გაყოფვის დროს დისონანსი მხოლოდ ბულგარეთს შეუტანია. ეს სახელმწიფო გადუდგა სლავიანობას და გერმანეთს მიემხრო, რაიც შავ ლაქად დარჩება ამ ომის ისტორიის ფურცლებზეო.

შემდეგ ისევ ინგლისის მედიდურობას და ძალოვანებას დაუბრუნდა ლექტორი. მისი როლი განსაკუთრებულია. მომთმინო, უაღრესად ნიჭიერი და შორს მჭვრეტი, მზადაა მტერს ებრძოლოს მთელს ორმოცი წლის განმავლობაში, თუ კი ამას საჭიროება მოითხოვსო. იგი ფარხმალს არ დაჰყრის, ვიდრე გერმანეთს იარაღს არ აჰყრის, ვიდრე მის გემებს არ მოსპობს, ვიდრე მის ციხეებს მიწასთან არ გაასწორებსო. ამისთვის იგი ახალ-ახალ ძალებს მოერეკება, შეაქვს ტრადიციის წინააღმდეგ ახალი პროექტი სამხედრო ბეგრის სავალდებულოდ რომ გახდეს, აძლიერებს ფლოტს და მოკავშირეთაც ამხნევებს ყოველისფრით, თუ კი ვისმეს რამე დასჭირდება მისი შველაო.

დასასრულს პროფესორმა განმარტა მთავარი აზრი ამ ომისა: გამარჯვება და მილიტარიზმის მოსპობა! თუ ვერ გავიმარჯვებთ, თუ გერმანეთი გვძლევს, ომს დასასრული არ ექნება და მოვა ისეთი დრო, როდესაც ახალი ომი წამოჭყოფს თავს, მაგრამ იმისი სახე ისეთი საზარელი იქნება, რომ იქნებ ეხლანდელი ომიც კი ფერმკრთალი გამოვიდესო. მაშასადამე, კაცობრიობის სახელით, რათა ასეთი უბედურება აღარ განმეორდეს, საჭიროა ერთხელ და უკანასკნელად მომაკვდინებელი მახვილი მოხვდეს გერმანეთის მილიტარიზმს და მით მშვიდობიანობას მიეცეს გზა.

ასეთი პათოსით გაათავა ლექტორმა თავის ლექცია, რასაც შესაფერი აპლოდისმენტი მოჰყვა დამსწრე საზოგადოების მხრით.

(შემდეგი იქნება)

დ. კასრაძე.

პროვინციის ქრონიკა

სოფ. ბუქსეითი (გურია).

აქ არსებობდა ერთკლასიანი სამინისტრო სკოლა მაგრამ მასწავლებლების ჯარში გაწვევის გამო სწავლა შეწყვეტილია.

საჭამიას სერი (გურია).

13 ქრისტეშობისთვეს მოხდა საჭამიას სერის წიგნთსაცავ-სამკითხველოს წლიური კრება. წლის განმავლობაში სამკითხველოს ჰყოლია 58 წევრი მაგრამ ამათგან 17 დაჰკლებია. ზოგი ჯარში გაიწვიეს ზოგიც შორეულ ქვეყანას გადაიხვეწა ლუკმა პურის საშოვნელად.

რუსეთი

მოსკოვის უნივერსიტეტი.

161 წელიწადი შესრულდა რაც მოსკოვის უნივერსიტეტი არსებობს. 11 იანვარს გადიხადეს დიდი ზეიმით დღესასწაული, დაესწრნენ პროფესორები და სხვა და სხვა საზოგადოების წარმომადგენელნი.

შარშანდლამდე უნივერსიტეტს ჰყავდა სულ საპატიო წევრნი 26. ამათ მოემატათ ბელგიის მეფე ალბერტი I და მისი უმაღლესობის ნიკოლოზ ნიკოლოზის ძის მეუღლე.

1 იანვარს 1915 წ. მოსკოვის უნივერსიტეტში სტუდენტთა რიცხვი 11,184 იყო. თავისუფალი მსმენელი ყოფილა 617.

გაზ. „სახ. ფურცელის“ ქუთაურ კორესპოდენტს „გ—ა“-ს

„საქართველოს“ მე-176 ნუმერში—მოთავსებული იყო ანგარიში ქუთაისის ქალაქის გამგეობის მეორე წევრის არჩევნებისა.

ამ ანგარიშში მოყვანილი იყო უტყუარი ფაქტი, რომ ხმოსანთა ერთმა „ჯგუფმა“ არა-საკადრისი აგიტაცია გასწია ქ. ქალაქის გამგეობის წევრობა თავზედ მოახვია ქართული გიმნაზიის მასწავლებელს და შავი ქვის საბჭოს წევრს, ბ. ს. წერეთელს.

ამ ფაქტს სიმართლისას ჩვენს წინააღმდეგ აუმხედრებია ბ. „გ—ა“. ბ. „გ-ა“ აღნიშნავს „სახალხო ფურცელის“ მე-475 ნუმერში, ხსენებულ არჩევნებს ქუთაისში ყველა სიამოვნებით შეხვდაო და სწერს:—„რაც შეეხება „საქართველოს“, მისმა წერილებმა სრული განცვიფრება გამოიწვია აქაურ საზოგადოებაში. განსაცვიფრებელი იყო ჯერ ერთი „საქართველოს“ დირეკტივები“ ბ ცნობა, რომ გამგეობის წევრად ექმ ვ. წერეთელს ირჩევენო. არ ვიცით, საიდან გამოჩხრიკა „საქართველომ“ ხსენებული კანდიდატურა, მაგრამ ბ-ნი ვასილ წერეთლის არჩევა, არც თვითონ ბ-ნ ვ. წერეთელს და არც მის ადგილობრივ მიმდევრებს აზრად არ მოსვლიათ. ეს „საქართველოს“ გარდა ყველამ იცის. განსაცვიფრებელია ისიც, რომ ძალაუნებურად „საქართველო“ არდიშვილის დამცველად გამოვიდა, რადგან ჯერჯერობით ბატონ არდიშვილს არც სპეციალური განათლების ადამიანად იცნობენ ქუთაისში, არც საზოგადო მოღვაწედ და მით უმეტეს არც „ნაციონალ-დემოკრატად“...

გულ ახდილად უნდა ვსთქვათ, რომ, ამ არჩევნებით ნასიამოვნები დარჩა ვინც „სახალხოელი“ ანუ „მეგობრისტია“. „საქართველოს“ წერილებმა განცვიფრებაში მოიყვანა ზემო აღნიშნული პირები, ხოლო დანარჩენებმა „საქართველოში“ დასტამბული წერილი დააფასეს ისე, როგორც აფასებენ ხოლმე მიუდგომელ ორგანოში მოთავსებულ წერილებს.

რაც შეეხება იმას, რომ ვითომც „საქართველოს“ ზ. ვ. არდიშვილის დაცვა ეკისროს, არც ეს არის ბ. „გ—ა“-ს და „სახ. ფურცლის“ მხრით საკადრისი. ბ. არდიშვილს ჯერ ისეთი ბოროტება არ ჩაუდენია, რომ იგი ბრალდებულის სკამზე დასვან და ჩვენ კი დამცველის როლში გამოვიდეთ. ის კი უნდა აღვნიშნოთ, რომ ბ. „გ—ა“ თქვენ ტყვილა უბრალოდ კბენთ ბ. ვ. არდიშვილს. მიბრძანდით ქალაქის გამგეობაში, გადაათვალიერეთ ტეხნიკური კომისიის საქმეები და დარწმუნდებით არის თუ არა ბ. არდიშვილი სპეციალისტი თავის დარგში. რაც შეეხება იმას, რომ „ნაციონალ-დემოკრატია ბ. არდიშვილი თუ წევრი სხვა რომელიმე მიმართულებისა“, ეს თვით ბ. არდიშვილმა უფრო იცის და ამის გამოკვლევა თქვენთვის არავის მოუნდვია. მხოლოდ ვიტყვი იმას, რომ ბ. არდიშვილი უფრო ენერგიით იმუშავებდა ვინემ ბ. ს. წერეთელი და თუ ზოგიერთმა ხმოსნებმა მისცეს მას თეთრი კენჭი, მისცეს იმისთვის, რომ ქართულ გიმნაზიაში უფრო ღირსეული მასწავლებლისათვის ადგილი დაცლილიყო.

მართალია, „საქართველოში“ შეცდომით იყო დასტამბული რომ ქალაქის გამგეობის წევრათ ვითომც ექმ ვ. წერეთელს ასახელებენო, მაგრამ ეს შეცდომა მეორე დღესვე იქნა გასწორებული და ასეთი უბრალო და უმნიშვნელო შეცდომები თუ თვალყურს ვადევნებთ ჩვენს ჟურნალ-გაზეთებს ყოველდღე შევხვდებით და უმეტესათ თვით თქვენს ორგანოებში.

შემდეგ ბ. კორესპოდენტი „სახ. ფურცლისა სწერს:—

ასეა თუ ისე „Кут. Вѣсти“-სა და „საქართველოს“ შეხმატკბილებულმა „დუეტმა“ ფრიად ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა ყველაზე, ვინც წრფელი პატივისცემით ეპყრობა საზოგადოებრივ კეთილ-ღეობას და ამ კეთილ-ღეობისათვის მზრუნველ მუშაკთ.

ასეა თუ ისე, გზა აებნია ბ. „გ-ა“-ს საზოგადოებამ კარგათ უწყის თუ რა დამოკიდებულება აქვს გაზ. „კუტაისკია ვესტსთან“. მხოლოდ სიმართლე აღვნიშნეთ ჩვენ და სიმართლე ახლნიშნა „კუტ. ვესტმაც“. და სიმართლეს აღნიშნავდენ სხვა გაზეთებიც (რასაკვირველია არა „სახალხო ფურცელი“ და მეგობარი) რომ ამ არჩევნებზე თავისი წარმომადგენელნი ჰყოლოდათ.

და ამ ფაქტების აღნიშვნამ ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა, ყველაზე ვინც **არა წრფელი პატივისცემით ეპყრობა საზოგადოებრივ კეთილ-ღეობას და ამ კეთილ-ღეობისათვის მზრუნველ მუშაკთ.**

თორემ ეს რომ ასე არ იყვეს რას ნიშნავდა ბ. „გ-ა“! ის აგიტაცია, რომელსაც თქვენ თვითონ ეწეოდით? გაიხსენეთ არჩევნების ღეღ. თქვენ თვითონ არ გაგგზავნეს **თქვენმა უფროსებმა** ბ. ს. წერეთელის მოსაყვანათ? აგიტაციას ეწეოდით მაგრამ თქვენ მაინც დამარცხდით. ბ, წერეთელი თქვენის (ს. ფ-ბის) აგიტაციით ვერ გავიდა არამედ მეორე ჯგუფის. და ვინ არის ეს მეორე ჯგუფი მიბძანდით დ. ქე-ძესთან და ის გეტყვისთ...

ახლა კი გაჩუმდით, თქვენის ჭორებით გულ-უბრიყვილო მკითხველს თვალებს ნუ უხვევთ, თორემ სიცრუეს მოკლე ფეხები აქვს, მკითხველები ყოველივეს მიხვდებიან და თაეიანთ გულის წყრომას გადმოგანთხევენ. *)

ქუთათური.

წერილი რედ. მიმართ

ბ-ნ ქადაგაძის წერილის გამო.

ბ-ნ ქადაგაძემ გაზეთში „სახალხო ფურცელი“ (№ 428—429) დაბეჭდა წერილი: „მართლა რიჟრაჟია?“ წერილის საგანი ძალიან მარტივია, თუ საგანს შევხედავთ პედაგოგიურის აზრით, და მეტად რთულია, თუ იმის გადაწყვეტას მოვისურვებთ ყოველმხრივის მიხედვით, და არა მარტო პედაგოგიური თვალსაზრისით. პედაგოგიური აზრი საზოგადოთ იდეალია, რომლის შესრულებას სხვა და სხვა ცხოვრების მოვლენა ხელს უშლის.—მაგრამ ამ წერილით მე მსურს არა საგნის ძირითადს დედა აზრს შევეხო (რომლის წინააღმდეგი არავინ არ არის), არამედ მხოლოდ იმას რა საბუთზე არის დამყარებული ბ-ნ ქადაგიძის გამოლაშქრება კრიტიკა და საყვედური, პედაგოგიურ საბჭოს მიმართ. ბ. ქადაგიძე ამბობს, ვითომ ქართული გიმნაზიის პედაგოგიურს საბჭოს გადაუწყვეტია რუსული ენის სწავლება **შემოიღონ** პირველ წლიდანვე, და ამისთანა გადაწყვეტილება არ ეთანხმება არც პედაგოგიას და ძალიან მავნებელია... ეს გამარუსებელი მიმართულებაა... დედინაცვალობას უწევს ღვიძლს შვილებს, ხელს უწყობს მოზარდ თაობის გადაგვარებას.., მოღალატეობა არისო... და სხვა...

პედაგოგიურ საბჭოში მშობლებიც არიან, და მათ შორის მეც დავესწარი კრებას, როცა იყო მსჯელობა იმაზე, თუ როდის უნდა დაიწყოს სწავლება რუსული ენისა. და რადგანაც ეს წერილი ცოტად თუ ბევრად შემეხება მეც, როგორც მშობლების წარმომადგენელ პედაგოგიურ საბჭოს წევრს, ორიოდე სიტყვით მინდა უპასუხო ბ. ქადაქიძეს.

თავმჯდომარემ მოახსენა საბჭოს შემდეგი:

აქამდის რუსული ენის სწავლებას ვიწყობდით პირველ მოსამზადებელ განყოფილებაში იანვრიდან, ახლა როცა ყველა საგნის სწავლება იწყება ქართულს ენაზე, რუსული ენის შესწავლა შესუსტდება და დააბრკოლებს ატესტატის მიღებას. ჩვენი გიმნა-ზიის წარმომადგენელებმა ქუთაისის ქართულ გიმნაზიის მასწავლებლებთან ერთად, რუსული ენის შესწავლა რომ არ შესუსტდეს, საჭიროდ სცნეს ლექსიკური სწავლება ამ ენისა დაიწყონ პირველ განყოფილებაში იანვრის მაგივრად ენკენისთვიდან. ახლა პედაგოგიურ საბჭოს ეძლევა წინადადება: დავიწყოთ რუსული ენის სწავლება, თუ დარჩეს ისე როგორც იყო აქამდინ, ესე იგი იანვრიდან.

საბჭოს რამოდენმამე წევრმა (მშობლებმა და პედაგოგებმა) ის აზრი წარმოსთქვეს, რომ რუსული ენის სწავლება უნდა იწყებოდეს არა ადრე პირველ კლასისა. თავჯდომარემ განმარტა, რომ ჯერ-ჯერობით საკითხი შეეხება მხოლოდ ამ წელს: როდის დავიწყოთ რუსული ენა პირველ განყოფილებაში იანვარში თუ ენკენისთვეში. ხოლო საკითხი იმის შესახებ რომელ კლასში დავიწყოთ რუსული ენის სწავლება: პირველ განყოფილებაში, თუ პირველ გიმნაზიურს კლასში, უნდა გადავდოთ შემდეგისათვის, რადგანაც ეს საკითხი რთულია და ქუთ. ქართ. გიმნაზიასთან წინასწარ შეთანხმებას მოითხოვს, და ვისაც კი ამ საკითხის შესახებ რაიმე კერძო აზრის გამოთქმა ჰსურს, ვთხოვ წერილობითი განცხადება შემოიტანოს საბჭოში.— პედაგოგიურმა საბჭომ ამის შემდეგ დაადგინა: რუსული ენის სწავლება დავიწყოთ ამ სამოსწავლო წელიწადში იანვრიდან, როგორც აქამდის იყო. აქიდანა სჩანს: არავითარი ახალი დადგენილება პედაგოგიურ საბჭოს არ მიუღია და ბ. ქადაგიძე სცდება, როცა ამბობს: პედაგოგიურ საბჭომ გადასწყვიტა **შემოვიღოთ** რუსული ენის სწავლება პირველ წლიდანვეო...

შესაძლებელია მე ვცდებოდე, მაგრამ დარწმუნებული ვარ: „რიჟრაჟი“ განთიადად არ გადაიქცევა მოზარდ თაობის წინამძღოლების (მშობლების და მასწავლებლების) ურიგოდ მოხსენებით, და ძალიან გაკვირვებული ვარ, რად ინება ბ. ქადაგიძემ არა პედაგოგიური კილოთი თავისი პედაგოგიური წერილის დაწერა.

სპ. ბაქრაძე

*) ამ საპასუხო წერილის დაბეჭდვა დავაგვიანეთ.

ჩეჩილი

საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი

ოცდა მეშვიდე წელიწადი

ჯეჯილი დაარსებულია 1890 წ. გამოვა 1916 წ. თვეში ერთხელ. ჟურნალში ორი განყოფილებაა, პატარებისათვის და მოზრდილთათვის

ჟურნალი „ჯეჯილი“

თბილისში ეღირება 4 მან. ქალაქ გარეთ (გაგზავნით) 5 მან. ნახევარი წლით 3 მან., ცალკე ნომერი 40 კაპ., ხელის მოწერა მიიღება თბილისში—ჯეჯილის რედაქციაში (არტილერიის ქუჩა, № 5.) რედაქციაში ისყიდება ყველა 26 წლის ნომრები და რედაქციის გამოცემული საყმაწვილო წიგნები.

ფოსტის ადრესი: Въ Тифлисъ въ Ред Грузинскаго дѣтскаго журнала „Джеджили“.

რედაქტორ-გამომცემელი **ან. თუმანიშვილი-წერეთლისა.**

ბაქო-ბათომის რკინის გზის მიმოსვლა

(ცვლილებულია თბილ. საათით)

თბილისიდან გადის:

		№	ს.	წ.	
ბათომისკენ	სამგ. მ.	9	8.53		საღ.
„	საფ. „	3	9.58		დილ.
ხაშურისკენ	სამგ. „	19-20	3.20		ნაშ.
ბაქოსკენ	ჩქარი „	4	10.20		საღ.
„	ჩქარი „	6	12.8		დღის
„	სამგ. „	8	11.13		ღამ.
ყარს-ერევნ.	საფ. „	4-3	11.13		ღამ.

თბილისში მოდის:

		№	ს.	წ.	
ბათომიდან	საფ. მ.	4	9.30		საღ.
„	სამგ. „	10	9.51		დილ.
ბაქოდან	საფ. „	3	9.3		დილ.
„	ჩქარი „	5	7.41		საღ.
„	სამგ. „	7	1.42		ნაშ.
ხაშურიდან	სამგ. „	19-20	7.25		დილ.
ყარს-ერევნ.	საფ. „	4-3	8.8		დილ.

კახეთის რკინის გზის მიმოსვლა

(თბილისის დრო)

ციმოსვლა ყოველდღე სწარმოებს.

თბილისიდან გადის:

ტფილისიდან	8	ს. 58	წ.	დილ.
ნავთლუღი-ამიერ კავ.	9	„ 23	„	„
ნავთლუღი-კახეთისა.	9	„ 43	„	„
ვაზიანიდან	10	„ 42	„	„
იორიდან	11	„ 35	„	„
საგარეჯოდან	12	„ 17	„	„
ბადიაურიდან	1	„ 15		დღის
მელაანიდან	2	„ 37	„	„
გურჯაანიდან	4	„ 08	„	„
ვაჩნაძიანიდან	4	„ 58	„	„
თელავში მიდის	5	„ 35	„	„
გურჯაანიდან	4	„ 18	„	„
კარდენახიდან	4	„ 50	„	„
წნორის-წყალ. მიდის	5	„ 15	„	„

თ ე ლ ა ვ ი დ ა ნ

თელავიდან	8	ს. 58	წ.	დილ.
ვაჩნაძიანიდან	9	„ 45	„	„
გურჯაანიდან	10	„ 46	„	„
მელაანიდან	12	„ 02	„	„
ბადიაურიდან	1	„ 13	„	დღის
საგარეჯოდან	2	„ 15	„	„
იორიდან	2	„ 53	„	„
ვაზიანიდან	3	„ 40	„	„
ნავთლუღ-კახეთ.	4	„ 31	„	„
ნავთლუღ-ამიერ-კავ.	4	„ 46	„	„
თბილისში მიდის	5	„ 01	„	„
წნორის-წყლიდან	9	ს. 16	წ.	დილ.
კარდანახიდან	9	„ 46	„	„
გურჯაანში მოდის	10	„ 16	„	„

სად გაიგეგთ ცნობებს მოკლულთა, უგზო-უკვლოთ დაკარგულთა, დაჭრილთა და დატყვევებულ ჯარისკაცთა შესახებ.

1. მოკლულთა და უგზო-უკვლოთ დაკარგულთა შესახებ უნდა მიმართოთ შემდეგი ადრესით: Петроградъ, Караванная ул., д. № 1, особое дѣлопроизводство Гл внаго Штаба.

2. დაჭრილთა შესახებ ცნობების მისაღებად საჭიროა მიმართოთ: Петроград, Басковская ул., д. № 12. Справочный отдѣл при Главномъ Управленіи Россійскаго Красного Креста.

3. ტყვეთ წაყვანილთა შესახებ უნდა მიმართოთ: Петроградъ, Инженерная, д. № 9, Центральное справочное бюро о военноплѣнныхъ при Главномъ Управленіи Россійскаго Краснаго Креста.

ცნობების მისაღებათ აუცილებლათ საჭიროა გარკვევით აჩვენოთ სახელი, მამის სახელი, გვარი და აღნიშნოთ ჯარის ის ნაწილი (კორპუსი, პოლკი და როტა), სადაც ჯარისკაცი მსახურობდა.

წერილში უნდა აღინიშნოს აგრეთვე სწორი ადრესი შემკითხველისა (სახელი, მამის სახელი, გვარი და გუბერნია, მაზრა და სოფელი, სადაც თვით ცხოვრობს).

ბანკნოტების ჩანაცვლება

Liebesgaben für die russischen Kriegsgefangenen.

Deutschland.

საერთაშორისო საფოსტო შეთანხმების ძალით ასეთ ამანათს ფოსტა **უფასოდ** გზავნის, ეს ამანათი უნდა გაიგზავნოს შემდეგის მისამართით:

პირველი:

Suisse, Bern Ensingnenstrasse, № 48, A. A. Вахерахъ.

ან კიდევ მეორე:

Banque populaire Suisse, Fond Russe pour les prisonnier de guerre.

ცნობების მიღება უკვალოდ დაკარგულთა და ტყვეთა შესახებ შეიძლება შვეიცარიაში არსებულ ბიუროდან, რომლის მისამართი ასეთია:

Швейцарія Заказное

Suisse. Recommandée

Comité International de la Croix Rouge.

Agence des prisonniers de guerre Genève.

ნებადართულია სამხედრო ცენზორისაგან

სტამბა „ცხოვრება“ ა. კალანდაძისა, გაბაევის შესახვევი № 4.

წიგნის მაღაზია

„ახალი სიტყვა“ („Новая рѣчь“).

ი. დ. კიკნაძისა.

თბილისი. გოლოვინის პროსპექტი, 22, ტელეფონი 6—23.

გვაქვს ყოველნაირი ახალი წიგნები; ვკისრულობთ ყოველნაირ ბიბლიოთეკის შედგენას: საზოგადოს, საეროს, საქართველოს, სასკოლოს, საბავშვოს და სხ. განმანათლებელ საზოგადოებათა და სასწავლებელთა მიერ დაკვეთილი წიგნები განსაკუთრებულ მორიგებით; ქალაქ გარეთიდან დაკვეთას ვასრულებთ ორ დღეში. წერილით ანუ პირადად ნაყიდი წიგნები შეიძლება ჩვენვე მივიტანოთ სახლში.

თევზის მრეწველნი

ძმ. ბეგველოვები

პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ., № 9, ტელეფონი № 712.

განყოფილება ავლაბარში

კახეთის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 6, ტელეფონი № 712

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „ლ. მაილოვის-შვით, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის **ხიზალალა**, მცირე მარილიანი, შავი „„**მეშოჩნი**“ ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრედვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.